



**როსა ბიძინაშვილი**

**თბილისის ბოტანიკური  
ბაღის სამკურნალო  
მცენარეების სამეცნიერო  
განყოფილება**

**100**


# თბილისის ბოტანიკური ბაღის ძველი სურათები




# ძველი თბილისის სურათები




# საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი









საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

როსა ბიძინაშვილი

თბილისის ბოტანიკური ბაღის სამკურნალო  
მცენარეების სამეცნიერო განყოფილება

100

წარსული და დღევანდობა



თბილისი 2016

*„გუგუშვილის თბილისის ბოტანიკური ბაღში  
მოღვაწე ადამიანების ნათელ ხსოვნას“*

ნაშრომი განკუთვნილია თბილისის ბოტანიკური ბაღის გულშემატკივრებისათვის. ბაღის მოკლე ისტორიულ მონაცემებთან ერთად უმთავრესი უზრუნველება გამახვილებულია სამკურნალო მცენარეების განყოფილების ისტორიულ ჰარამეტრებსა და დღევანდელ მდგომარეობაზე, იმ ადამიანების საქმიანობაზე, რომლებიც თავდაუსოგავად შრომობდნენ კავკასიის პირველ სამეცნიერო ორგანიზაციაში და რომელთა ძალისხმევით შეიქმნა ერთ-ერთი გამორჩეული, უნიკალური და სასეაბრეო შემადგენლობით მდიდარი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.

შესაბამისი ინფორმაცია მოიპოვა და დანაშადაც ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების სექტორის ხელმძღვანელმა, უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორმა **როსა ბიძინაშვილმა**.

**რედაქტორი:** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი **ილია ფაღაზანდიშვილი**.

სატიტულო უდაზე: ბოტანიკური ბაღის დიდი ჩანჩქერი

ISBN 978-9941-0-8947-3



## წინასიტყვაობა

2016 წელი მეტად საინტერესო თარიღია თბილისის ბოტანიკური ბაღი-სათვის. 1845 წლის 1 მაისს კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის განკარგულებით ბაღს ოფიციალურად მიენიჭა „ბოტანიკური ბაღის“ სახელი. ამდენად, კავკასიაში პირველი ბოტანიკური სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია 171 წელს ითვლის.

მაგრამ, წავგისის ხეობის ამ ულამაზეს ტერიტორიაზე ასეული წლების განმავლობაში არსებობდა თვალწარმტაცი ბაღი, რომელიც გარკვეულ პერიოდებში სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი („ცისის ბაღი“, „მთავრის ბაღი“, „სამეფო ბაღი“, „მარიამ დედოფლის ბაღი“, „სასახლისო ბაღი“, „სააფთიაქო ბაღი“), თუმცა თავისი დატვირთვით და შინაარსით უოველთვის ბოტანიკური ბაღის ფუნქციას ასრულებდა. 2001 წლის ოქტომბერში საერთაშორისო კონფერენცია მიემდგვნა ბაღის დანარსებიდან 365 წლისთავს, მიმდინარე წელს მას 380 წელი შეუსრულდა.

აღნიშნული წელი საიუბილეოა სამკურნალო მცენარეების სამეცნიერო განყოფილებისთვისაც, რომელიც დანარსდა 1916 წ. ბაღის პირველი დირექტორის ადოლფ ქრისტიან როლოვის ინიციატივით და მას 100 წელი შეუსრულდა.

მინდინარე (2016) წელს, ბოტანიკურ ბაღში 1971 წელს ნინო კახელაძის მიერ აღდგენილი სამკურნალო მცენარეების განყოფილება 45 წლისაა.

მკითხველთა ფართო წრისათვის თბილისის ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების განყოფილების ისტორიის გაცნობის მიზნით, შრომის ამ სახით გამოცემა პირველი მცდელობაა ჩვენს მიერ, ამიტომ მადლიერებით მივიღებთ ყველა საქმიან შენიშვნას და დამატებით ინფორმაციას.

როსა ბიძინაშვილი



კახკასიური (წითელი) გვირილა

## სამკურნალო მცენარეების განჯითარების ჰირველი ეტაპი თბილისის ბოტანიკურ ბაღში

საქართველოს (თბილისის) ეროვნული ბოტანიკური ბაღი ერთერთი უძველესი ბოტანიკური დაწესებულებაა, რომელმაც თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო. მათ შორის იყო როგორც აღმავლობისა და განჯითარების ნათელი ჰერიოდები, ისე კრიზისის უმძიმესი წლებიც.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში დღევანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში, სამი მცირე სიდიდის ბაღი ეოფილა გაშენებული, რომლებიც ქართველ მეფეთა მამულს წარმოადგენდა, ე.წ. „მთავრის ბაღი“, სადაც გაშენებული იყო როგორც უცხოეთიდან შემოტანილი მრავალი ეგზოტური დეკორატიული, სამკურნალო, ტექნიკური მცენარეები, ასევე საქართველოს ფლორის სხვადასხვა დანიშნულებით გამოჩნეული სახეობები.

თბილისისა და მისი მიდამოების ტერიტორიაზე სხვადასხვა ბაღების და „წაღკოტების“ აღსებობას ადასტურებს მრავალი უცხოელი მკვლევარის მონაცემები. მათ შესახებ ჰირველი, არც თუ მდიდარი ცნობები, მოცემულია XVII ს-ის ფრანგი მოგზაურის კან ბატისტ სიმეონის შარდენის (სერ ჯონ შარდენი) ნაწერებში. მისი ათ-ტომიანი კრებული „სერ ჯონ შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, აღმოსავლეთზე ადრეული დასავლური კვლევების საუცხოო ნიმუშად ითვლება.



სერ ჯონ შარდენი (1643-1713)



ავტობოტრეტი



### თბილისი ჟან შარდენის მიხედვით, 1671.

თხზულების გარკვეული ნაწილი საქართველოს ენება, სადაც მან 1672-1673 წლებში იმოგზაურა. მოიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, ვრცლად აღწერა საკუთარი თვალთ ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა, ზირადი შთაბეჭდილებები შეავსო ცნობით საქართველოს წარსულის შესახებ, რომლებიც ამოკრიბა ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან და წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებიდან. აქვე ვხვდებით ძველი თბილისის ზირველ გრაფიკულ ჩანახატს, რომელიც შარდენის თანამგზავრის მხატვარ ვრელოს მიერაა შესრულებული. შარდენი თბილისის ბაღების შესახებ ასე მოგითხრობს: „თბილისის მიდამოებში მრავალი ვილა და საუცხოო ბაღია. მათში უველასე დიდი მთავრის ბაღია. ხეხილი აქ ნაკლებად არის, სამაგიეროდ ბევრი ხე არის დაზღული ბაღის დასამშვენებლად, რომლებიც ჩრდილსა და სივრილეს იძლევიან ზაფხულის უველასე ცხელ თვეებში“. როგორც ამ ცნობებიდან ჩანს თბილისის ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, იმ დროს ხეხილზე უფრო მეტად „დამამშვენებელი“, ე.ი. დეკორატიული მცენარეები უოფილა გავრცელებული.

გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი, ჰარიზის სამეფო ბოტანიკური ბაღის ბოტანიკის პროფესორი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ჟოზეფ ჰიტონ დე ტურნეფორი, თბილისში 1701 წლის 21-26 ივნისში მოგზაურობისას, ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის და სავაჭრო ურთიერთობების შესახებ. მოგზაური მოგვითხრობს: „გავისიერნეთ ავრეთვე ქალაქგარეთ მდებარე მთავრის სასახლისაკენ, ეს

სასახლე ქალაქის იმ გარეუბანშია, რომელსედაც ოსმალეთში მიმავალი გზა მიდის... სასახლის მანკობლად საუცხოო ბაღებია, რომელსაც ბევრად უკეთესად უვლიან, ვიდრე ოსმალეთში. ამ ბაღში ალტაცვებაში მოგვიუვანა ზირწმინდა მცენარემ (*Pogostemon patchouli*- ზანუელი), რომელსაც ისეთივე ფოთლები აქვს, როგორც თამბაქოს“. ჩანაწერებს ახლავს მის მიერ დანატული თბილისის ხედი.



ჟოზეფ ზიტონ დე ტურნეფორი (1656-1708)



თბილისის ხედი მე-18 ს. შსატვარი ტურნეფორი. 1701 წ.

იგივეს ადასტურებს გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი, ვახუშტი ბატონიშვილი /ბავრატონი/ სამეცნიერო თხზულებებში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745).



ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757)



თბილისის გეგმის ვახუშტისეული დედანი

გარდა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობებისა, ვახუშტის ნაშრომში ფრიად მდიდარი ინფორმაცია მოიპოვება ბოტანიკის, ზოოგეოგრაფიისა და გეოლოგიის შესახებ. ვახუშტი საგანგებოდ განიხილავს საქართველოს მცენარეულ საფარს, ამასთანავე მცენარეებს ეოფს კულტურულ და ველოურ ზონებად. მის ცნობილ შრომაში, ზირველად იყო განსილული მცენარეული საფარის კლასიფიკაციის მეცნიერული ცდა და მათი გეოგრაფიული გავრცელება.

თბილისთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს: „**გარემო ქალაქისა წაღკოტნი და საფარდენი მრავალნი, ეოფლის სილითა და უფაილითა საესე, განა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშეყრნი**“ – ამ ბაღების სექმატური გეგმა და სახელწოდება მას აღნიშნული აქვს მის მიერ შედგენილ რუქაზე.

იუნესკოს ეგიდით, 1997 წელს საზეიმოდ აღინიშნა ვახუშტის დაბადების 300 წლისთავი და ამ თარიღთან დაკავშირებით გამოიცა მისი თხზულება და მაღალ ზოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული „საქართველოს ატლასი“, რომელიც მტკიცედ შევიდა მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურის საგანმშრომში.

სოლოლაკის მთის ფერდობზე მეფის სასახლისა და მის გარშემო არსებულ ბაღებსა და მათი სარწყავი არხების შესახებ მოგვითხრობს 1768 წელს თბილისში ნამყოფი ფრანგი მოგზაური, ფრანგული ლიტერატურის კრიტიკოსი, ზოეტი, დრამატურგი, იესუიტების ორდერის წევრი, აბატი ჟოზეფ დე ლა ზორტი (1713-1779), ავტორი 27 ტომისაგან შემდგარი თხზულებისა «Le voyageur françois, ou la connoissance de l`ancien et du nouveau monde» (“მსოფლიო (ფრანგი) მოგზაური, ან ძველი და ახლი სამყაროს შემეცნება“), სადაც აღწერილია მსოფლიოს ოთხივე ნაწილში, დღემდე ცნობილი ქვეყნების მოკლე ისტორია, მდებარეობა, ქალაქები, მთები, მმართველობა, კანონები, სამხედრო ძალა, შემოსავლები, მოქალაქეების სარწმუნეობა, ჩვევები, წეს-ჩვეულებები, მეცნიერება, ხელსაქმე, ვაჭრობა, სამოსი, ქცევები, გასართობები, ცხოველები, ფრინველები, თევზები, სიძველეები, გამორჩეული, უურადღების ღირსი ნაგებობები, ბაღ-პარკები და ა.შ. როგორც ცნობილი მოგზაური აღნიშნავს: „ჩვენ გვიჩვენეს სამეფო სახლი სეიდაბადში, იგი მდებარეობს სიმაღლეზე და ჩანს, რომ არა ნაკლებ საამური ყოფილა გარეგანი შემოფარგლულობა მისი, ისევე როგორც შინაგანი საუსწოო შემკულობა. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ დიდი ბორცვები დაუკავიათ ვრცელი მოედნებით, რომლებშიც უდენიათ რუებსა და ნაკადულებს“.




**ზლატონ იოსელიანი (1809-1875)**

გამოჩენილი ქართველი სწავლული, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი ზლატონ ევნატეს ძე იოსელიანი თავის წიგნში „აღწერა ტიფლისის სიძველეთა“ (1866),

რომელიც დღესაც საქართველოს დედაქალაქის შესახებ არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომთაგანია, მეფის სასახლის შესახებ მოკვითხრობს, რომ „...სეიდანადის სასახლე მდებარეობდა ციხის ძირას და დანგრეულ იქნა მთლიანად სპარსელების მიერ 1795 წ. დარჩა მხოლოდ ბაღი, რომელიც ამჟამად ცნობილია ბოტანიკური ბაღის სახელწოდებით“. იგივე თხზულებაში სხვა ადგილას, ავტორი შენიშნავს, რომ „...300 ბაღის რიცხვიდან, რომელიც გარს არტყია მას (თბილისს) განსაკუთრებით შესანიშნავნი იუვენენ ქართველ მეფეთა ბაღი, ლელუთა ხეში მდებარე, მას ახლა ეწოდება ბოტანიკური ბაღი და განავებს ხაზინა“.

აკადემიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) ნიკოლოზის ძე კეცხოველი (ცნობილი ქართველი ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი) ვახუშტი ბატონიშვილის წიგნზე დაურდნობით აღნიშნავს (1969): „აქ საუბრადღებოა ის გარემოება, რომ მცენარეებს არა თუ ახლო მიდამოებიდან, არამედ უფრო შორიდან, „მაღალ ზონიდან“ მოიღებდნენ, უფრო დაბალ ზონაში „სავარდესა შინა“, ე. ი. მეფის კარში დანარგავად. ეს გარემოება მიკვითითებს მასზე, თუ რა განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „დამამშვენებელ“ ანუ დეკორატიულ მცენარეებს. ამგვარად, თბილისში არსებულ 300 ბაღიდან, ციხის (მთავრის) ბაღი, ანუ ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორია მდიდარი ყოფილა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური მცენარეებით, კერძოდ „დამამშვენებლებით“, რაც მას ბოტანიკური ბაღის შინაარს აძლევდა.“



ნიკო კეცხოველი (1897–1982)



ამის შემდეგ, ბაღის ისტორიაში დიდი ხარვეზია, რაც იმით აიხსნება, რომ სწარსულების შემოსევის დროს, განსაკუთრებული მტარვალობით გამოჩნეულმა ალა-მაჰმად-ხანმა (1795 წ.) თბილისი დაუნდობლად ააოხრა და მიწასთან გაასწორა, რა თქმა უნდა შენობებთან და განმეულობებთან ერთად განადგურებულ იქნა ისტორიული მასალები და ძეგლები, მათ შორის მცენარეული საფარი, აქ არსებული ბაღებითურთ.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით (1801 წ.) „ელეფანტის ხევის მთავრის სასახლის ბაღი“ გადავიდა სახელმწიფო ქონების სამმართველოს განკარგულებაში „ტიფლისის სასახლის ბაღის“ სახელწოდებით. იგი რამდენიმე ხანს იჯარით იყო გაცემული და აქ გაშენებული იქნა ხეხილი და ვენახი.

მოკლე ხანში, 1805 წლის 10 თებერვალს ჰავლე ციციანოვი (ციციშვილი, საქართველოს მთავარმართებელი 1802-1806 წლებში, ინჟანტერიის გენერალი), მიმართავს საქართველოს საექიმო მმართველობას, რომ სამხედრო სარგებლობისთვის გამოყოფილიყო ადგილი აფთიაქის განაშენებლად და იძლევა რჩევას „რუსეთიდან სამკურნალო საშუალებების შემოტანის მოუხერხებლობის გამო, თბილისში სამკურნალო მცენარეთა ბაღის მოწყობის აუცილებლობისათვის, სადაც კლიმატური პირობების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნებოდა ჩრდილოეთის სამკურნალო მცენარეების მოშენება“. ამ მიმართვის საფუძველზე, ბაღი გადაეცა საქართველოს ჯანმრთელობის სამმართველოს, აფთიაქისა და სააფთიაქო ბაღის მოსაწობად იმ ბაღის ბაზაზე, რომელიც ადრე დედოფალ მარიაშს ეკუთვნოდა. განკარგულებიდან სულ მოკლე ხანში, 1805 წლის 5 მაისს, საქართველოში გაიხსნა პირველი აფთიაქი, რომელსაც ეწოდა: „Грузинская полевая аптека“ (საველე აფთიაქი) ([medeamuseum.wordpress.com](http://medeamuseum.wordpress.com)). რაც შეეხება სააფთიაქო ბაღს, იგი უფრო მოგვიანებით იქნა დაფუძნებული.



ჰავლე ციციანოვი (ციციშვილი) (1754-1806)

როგორც ირკვევა, აფთიაქის დანარსებიდან მოკლე ხანში, სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოს წამლებით მომარაგება შემცირებულა, ამიტომ გადაწყდა გამოყენებისათ ადგილობრივი რესურსები. ამ მიზნით, 1806 წელს, თბილისის ჰირველმა აფთიაქმა ხელი მოჰკიდა თბილისის მიდამოებში გავრცელებული ველური სამკურნალო მცენარეების შეგროვებას. ადგილობრივი შემგროვებლები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი სამკურნალო მცენარე დაემსადებინათ და საფასურიც მეტი მიეღოთ, რამაც დასაწყისში მართალია უზრუნველყო თბილისის მოსახლეობა წამლებით, მაგრამ შედეგად წლებში ხალხის მომარაგება ამ მხრივ გამწვავდა, ვინაიდან ფულით დაინტერესებული შემგროვებლები ძირფესვიანად თხრიდნენ და აჩანაკებდნენ ბუნების ამ ძვირფას ნობათს ისე, რომ მათი ბუნებრივი განახლება და აღდგენა აღარ მოხდა. რის გამოც ქალაქის ხელმძღვანელობამ მიიღო დადგენილება სააფთიაქო ბაღის დანარსებისა და შესაბამისად, სამკურნალო მცენარეების სამრეწველო ჰლანტაციების შექმნის აუცილებლობაზე. 1809 წლიდან დაიწყო სამკურნალო მცენარეების გამრავლება ბაღის ისტორიულ ნაწილში, წავკისის ხეობის მარცხენა მხარეს, სოლოლაკის ქედის ქვედა ტერასებზე.

1845 წ. კავკასიის მეფისნაცვალ გრაფ მისეელ ვორონცოვის ბრძანებით გაუქმდა ამიერკავკასიის სოფლისა და მანუფაქტურული მრეწველობის ურთიერთმოქმედების საზოგადოება, რომლის შემადგენლობაში იყო „სააფთიაქო ბაღი“ და იგი გადავიდა მეფისნაცვლის კანცელარიის განკარგულებაში.

ბაღის თავისებური მდებარეობისა და ხელსაწყოელი მიკროკლიმატური ჰირობების გამო, მ. ვორონცოვის ინიციატივით გადაწყდა ამ ტერიტორიის გამოყენება სხვადასხვა საინტერესო მცენარეთა შემოტანა – განსაშენებლად და მდიდარი კოლექციების შესაქმნელად.


ბაღი უნდა ეოფილიყო „...მხარში მებაღეობის გამავრცელებელი ორგანიზაცია და ადგილობრივ-კავკასიური ფლორის შემკრები, რომლებიც შესანიშნავნი არიან ან თავისი სილამაზით, ან სასარგებლო თვისებებით“.



მიხეილ ვორონცოვი (1782-1856),  
კავკასიის მეფისნაცვალა (1844-1854).

1845 წლის 1 მაისს მიხეილ ვორონცოვის განკარგულებით, ბაღს ოფიციალურად მიენიჭა „ტიფლისის ბოტანიკური ბაღის“ სახელი, მებაღის შტატიც დაუმტკიცდა და სათანადო პროფილის ამოცანების შესრულებაც დაევალა. ბოტანიკური ბაღის საერთო ხელმძღვანელობა ჰირველ ხანებში თვითონ მ. ვორონცოვმა იკისრა.

*კავკასიის მეფისნაცვალა მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი უაღრესად საინტერესოა ჰიროფნებად წარმოგვიღებება. მისი მმართველობის პერიოდში თბილისი უოველდღიურად მძვენდებოდა და ვითარდებოდა. მთელი ძალისხმევით მუშაობდა გ ზების კეთილმოწეობაზე, ამენდა სიდები, საფუძველი ხაეუარს სანაოსნო მიმოსვლას შავ და კასპიის ზღუებზე, მდინარე მტკვარზე; ვანსორციელდა ამიერკავკასიის მიწების დანაწეფრება, ზრუნავდა მხარეში მევენახეობის, მეღვინეობის, მებაბრეშუმეობის, ცხენოსნობისა და სოფლის მეურნეობის სხვა მიმართულებათა ვანვითარებაზე. მისი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი სფერო იყო ვანათლეობის, მეცნიერებისა და ხელოვნების ვანვითარება. თბილისში 1848 წელს ვამოსვლას იწეებს ვანხეთი „კავკასი“, უაღიბდება „ზაკავკასიე ვესტნიკი“, რომელმაც მეცვალა „ვუბერსკეი ველომოსტი“.*



*ტიფლისის ბოტანიკური ბაღი, მსატყარი ვრიგელ ვაჟარინი, 1847 წ.*

1846 წელს მეფისნაცვლის კანცელარიასთან შეიქმნა ბიბლიოთეკა იმ წიგნებისგან, რომლებიც მან და კერძო პირებმა (სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან) შესწირეს ბიბლიოთეკას. შესაფერისი მენობის მუშევის შემდეგ, 1859 წელს თბილისში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა, რაც მრავალენოვანი და მრავალენოვანი მხარისთვის მოვლენა იყო.

1846 წელს თბილისში მეფისნაცვლის კანცელარიასთან საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივ ნუმიზმატურ კოლექციას. თავადის მიერ მოწვეული ცნობილი მეცნიერების (რომელთა შორის იყვნენ ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე, ჰლატონ იოსელიანი, ნუმიზმატი, მწერალი და არქეოლოგი ივანე ბარტოლომეი, მწერალი ალექსანდრე ხანნიკოვი და სხვ.) შრომებმაც შეუფასებელი როლი შეასრულა კავკასიის მხარის შესწავლაში.

1850 წელს თბილისში შეიქმნა სოფლის მეურნეობის ამიერკავკასიის საზოგადოება; 1850 წელს კავკასიაში საძირკველი ჩაეყარა რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებას, მაგნიტურ და მეტეოროლოგიურ ობსერვატორიას, შედგა არარატზე ასვლის გეგმა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ვორონცოვმა გახსნა ალიევის სექტის მუსლიმანური სასწავლებელი, 1849 წელს დააფუძნა კავკასიის ცალკე არსებული სასწავლო ოლქი, ბევრ ქალაქში შექმნა და გახსნა სამაზრო სასწავლებლები.


ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ქალიშვილებისთვის თბილისში, ქუთაისში, შირაქში გაიხსნა წმ. ნინოს დაწესებულებები.

თანამედროვეთა მოვანების თანახმად, თბილისში ვორონცოვის ჩამოსვლამ ქალაქის ცხოვრება მთლიანად შეცვალა და სულ სხვა ხასიათი შესძინა. მისი მართველობის დროს გაიხსნა ქართული და რუსული თეატრები, მუზეუმი, სხვა საჯარო დაწესებულებები.

მ. ვორონცოვს შეეძლო, დაანლოებოდა უნარიან, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანებს. „...ვევლანი აღფრთოვანებული იყვნენ ვორონცოვის ადამიანებისადმი დამოკიდებულებით“. 1845 წელს თბილისში ვორონცოვთან ერთად და შემდგომში ჩამოსულ ადამიანებს ქალაქის ცხოვრებაში სიასლეები შეჰქონდათ. ევროპულმა კულტურამ დაიწყო აღმოსავლური პატრიარქალური სიტუაციის შეცვლა. კავკასიაში მისი მოღვაწეობის პერიოდი „ვორონცოვის ხანის“ სახელითაა ცნობილი.


შემდგომ ამ გამორჩეულ პიროვნებას 1876 წელს თბილისში ძველი დაუდგეს. ფაქტიურად ეს იყო აღიარება იმ ადამიანის უდიდესი დამსახურებისა, რომელმაც 1854 წელს დატოვა კავკასია და რომელსაც, როგორც ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწეზე, მსჯელობა შეიძლება იმ კეთილი საქმეებით, რომლებიც მან თავისი ძალაუფლების ქვეშ არსებულ მიწებზე ვააკეთა.

და მინც, რა ზღვიდა მეფისნაცვალ ვორონცოვს, როდესაც თბილისში აარსებდა საჯარო ბიბლიოთეკას, ბოტანიკურ ბაღს, ქართულ ქურონაღს, რუსულ თეატრს, ოპერას, ქართულ თეატრს? არის ერთი ვარაუდობა... ის მანანა ორბელიანს ეტრფოდა... ([www.geworid.ge/View.php](http://www.geworid.ge/View.php))  
ვორონცოვის დროის თბილისი).



### მ. ფორნცოვის ძეგლი თბილისში (1870-იანი წლები)

ბოტანიკურ ბაღად გადაკეთების შემდგომ დაიწყო მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება და საქმიანობის ერთგვარი განახლისება. 1846 წელს გაფართოვდა ბაღის ტერიტორია, მოეწყო ახალი ტერასები, სარწყავი არხები და აუზები, ხევში მდ. წაგვისზე აშენდა ორი ხიდი. საფუძველი ჩაეყარა სანერგე მეურნეობას, სადაც ტარდებოდა მერქნიან მცენარეთა თესვა, ხეხილის მუშაობა და ნერგების გამოყვანა; 1849 წლისათვის გადასარგავად მომზადდა 500000 ცალი მერქნიან მცენარეთა სხვადასხვა ჯიშის ნერგი, გამოყვანილ იქნა მოცხარის, მარწყვის, ხურტკემლის ახალი ჯიშები, 9000 ძირ სამირეზე დამენობილ იქნა საზღვარგარეთიდან ახლად გამოწერილი მსწლის, ატმის, ვამლის, ქლიავისა და სხვ. საუკეთესო ჯიშები. აღსანიშნავია, რომ ხეხილის ნერგები, ნამუყნები, ბოსტნეული კულტურების საუკეთესო ჯიშის თესვები უფასოდ ურიკდებოდა კავკასიის სხვადასხვა რეგიონების მოსახლეობასა და ორგანიზაციებს.



**დღესასწაული ტიფლისის ბოტანიკურ ბაღში 1851 წ.**

1854 წ. მეფისნაცვალ მ. კორონცოვის კავკასიიდან წასვლის შემდეგ ბოტანიკური ბაღი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. იგი ჯერ გადავიდა სასელმწიფო ქონებათა ექსპედიციის ხელში, შემდეგ სოფლის მეურნეობის და უცხოელ მოსახლეობათა კოლონიების საგანგებო სამმართველოს განკარგულებაში. მისი გამკვებლობა დაევალა ავრონომ დეიხმანს, მაგრამ ბაღს აღარ ექცეოდა სათანადო ყურადღება და არც მისი ამოცანები იყონათლად გარკვეული. ბაღის მდგომარეობა უფრო გაუარესდა და მისი მუშაობა თითქმის სავსებით ჩაკვდა.

1856 წელს კავკასიის მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ (1856-1862) თბილისის ბოტანიკური ბაღი იმ მოტივით, რომ არ იძლეოდა შემოსავალს, საზინისათვის არარენტაბელურ დაწესებულებად მიიჩნია და გასცა განკარგულება მისი მოქალაქეთა დანასვენებელ და სასეირნო ბაღად გადაქცევის შესახებ.

არსებობს ცნობები, რომ ბოტანიკური ბაღის საბოლოო დაცემის თავიდან აცილებასა და მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო საქმეში

კარლ ერნსტ რიტერ ფონ ბერის (პრუსიულ-ესტონელი ბუნებისმეტყველი, ემბრიოლოგიის ფუძემდებელი, ჰეტერობურგის მეცნიერებათა აკადემიის ორდინარული აკადემიკოსი) ჩარევამ. მან 1856 წელს ინახულა თბილისის ბოტანიკური ბაღი, ეურადლება მიაქცია მის ხელსაყრელ მდებარეობას და წინადადებით შევიდა ჰეტერობურგის მეცნიერებათა აკადემიაში, რათა მას თავის განკარგულებაში მიეღო თბილისის ბოტანიკური ბაღი, როგორც შესაფერისი ადგილი სხვადასხვა მცენარეების გამოცდისა და მათზე დაკვირვებების საწარმოებლად. ეს წინადადება განხორციელდა 1860 წელს და ბაღს ისევ ძველი სახელი „ბოტანიკური“ დაუბრუნდა.



**კარლ ერნსტ რიტერ ფონ ბერი (1792 -1876)**

1861 წლიდან თბილისში არსებულ საბაღო დაწესებულებათა და მათ შორის ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელობა დაეუფლა სწავლულ მებაღეს შარერს (1861-1889), რომელიც 28 წლის განმავლობაში მას ჰატრონობდა. ამ პერიოდში შესრულდა მთელი რიგი სამეურნეო და სამეცნიერო სამუშაოები. დაიწყო ბაღის გაფართოება მოსახლურ ცარიელი ადგილების ათვისებით, საფუძველი ჩაეყარა ტექნიკური და სამრეწველო მცენარეების კულტურას, იმატა კოლექციების სახეობრივმა შემადგენლობამ. ტარდება პირველი ცდები მცენარეების ადაპტაციის შესწავლის მიმართულებით. ამიერკავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს განკარგულებაში ბოტანიკური ბაღი იყო 1883 წ. ივლისამდე, რის შემდეგაც გადავიდა სახელმწიფო ქონების სამინისტროს დაქვემდებარებაში, კერძოდ



ამიერკავკასიის მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარმმართველის, კავკასიის დენდროლოგიური ფლორისა და მცენარეულობის ცნობილი მკვლევარის იაკობ სერგის-ძე მედვედევის განგებლობაში, რომელიც ურუნდლებით და მონდომებით მოეკიდა დაკისრებულ მოვალეობას და ხელი მიჰყო ბაღის საქმიანობის გაუმჯობესებას. მან დიდი შრომა გასწია ბოტანიკური ბაღისათვის მატერიალური სასწრების გადაღების,



**ო. მედვედევი (1848-1923)**

ტერიტორიების მომატების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, სამეცნიერო მუშაობის გაშლისა და სათანადო კაბრების დაკომპლექტების, კოლექციების გაზრდის საქმეში. 1890-1898 წლებში ბაღის გამგედ მუშაობდა ა. გინცენბერგი; ამ პერიოდში, ი. მედვედევის უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა მცენარეთა სხვადასხვა კოლექციები, რომელთა შორის აღსანიშნავია კავკასიის ცოცხალ მცენარეთა განყოფილება, წიწვოვნების, მლაშობი მცენარეების, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტუის და სხვ. 1893 წელს საფუძველი ჩაეყარა სასარგებლო მცენარეების, კერძოდ სამედიცინო, სართავი, სამღებრო, ეთერზეთოვანი, საკვები, ბოსტნეული და ტექნიკური მცენარეების განყოფილებას (კოლექციებს). 1896 წელს ბაღში თავმოყრილი იყო ამ ჯგუფის 171 სახეობის მცენარე, ხოლო 1900 წელს მათი რაოდენობა 500 სახეობას აღემატებოდა.



**ი. მედედევი ოჯახთან და ბაღის თანამშრომლებთან ერთად**

1898 წელს ი. მედედევის რეკომენდაციით ბაღის გამგედ დაინიშნა ადოლფ ქრისტიან როლოვი, 1902 წ-დან კი ჰირველ დირექტორად, რომელიც 1918 წლის ჩათვლით, წარმატებით ხელმძღვანელობდა ბაღის სამეცნიერო და სამეურნეო საქმიანობას. მის ირგვლივ მე-20 ს-ის დასაწყისში ჩამოყალიბდა მეცნიერ-მკვლევართა გამორჩეული, ბრწყინვალე კოპორტა: ი. აკინფიევი, ა. ფომინი, დ. სოსნოვსკი, ა. გროსჰეიმი, ვ. სავინი, ფ. ზაიცევი, ე. მაქსიმოვი, ე. კენიგი, ჰ. მიშჩენკო, ი. ვორონოვი, ნ. ტროიცკი, ლ. დეკანოზილევიჩი, ვ. კუსსისი, ა. მაილოვი, ჰ. ჟუკოვსკი, ვ. ალექსანდროვი, ნ. სჰემენი, ბ. შიშკინი, ჰ. ნაგორნი, ა. ვორონიხინი და სხვ., რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კავკასიის ფლორის შესწავლასა და თბილისის ბოტანიკური ბაღის უმსხვილეს ბოტანიკურ სამეცნიერო ცენტრად ჩამოყალიბების საქმეში.

ა. როლოვის ხელმძღვანელობის პერიოდში ბაღი გადაიქცა მთელი კავკასიის მასშტაბით მსხვილ ბოტანიკურ და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრად.

ამ დროიდან იწყება გეგმიური და გაღრმავებული სამუშაოები, როგორც მეცნიერული, ისე სამეცნიერო-პრაქტიკული და სამეურნეო მიმართულებით.

ერთის მხრივ, ველურად მოხარდი და კულტურული მცენარეების სამეცნიერო-საკოლექციო ნაკვეთების დაფუძნება და მშრალი ნიმუშების (ჰერბარიუმის) კოლექციის შეგროვება, ხოლო მეორეს მხრივ, საკოლექციო ნაკვეთებსა და ბუნებრივ ჰიბრიდებში მათი ბიოკოლოგიური თავისებურებების შესწავლა, წარმოადგენდა სამეცნიერო უჯრედების წარმოქმნის ფუნდამენტს, რომლებიც თანდათანობით განვითარდნენ მსხვილ განყოფილებებად, კაბინეტებად და ლაბორატორიებად, რომელსაც ბაღის მთავარმა ბოტანიკოსმა ზ. მიშჩენკომ მეტაფორულად „ბოტანიკური ინსტიტუტი“ უწოდა. მართლაც, შემდგომში ეს სამეცნიერო განყოფილებები საფუძვლად დაედო თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტების დაარსებას.

ბაღის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგების ზუბლიკაციისათვის, დაფუძნდა სპეციალური პერიოდული ორგანოები. პირველი ნაბეჭდი ორგანო, რომლის პირველი ტომი გამოვიდა 1895 წ. იყო „*Труды Тифлисского ботанического сада*“; საბჭოთა პერიოდამდე გამოქვეყნდა 42 კრებული, სადაც იბეჭდებოდა უმთავრესად დამთავრებული გამოკვლევების მსხვილი სტატიები, მონოგრაფიები და ა.შ. 1934 წლიდან ეს ორგანო თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტს მიაკუთვნეს, შემდეგი სახელწოდებით: „*Труды Тбилисского Ботанического Института*“.

1905 წლიდან დაიწყო მეორე ნაბეჭდი ორგანოს გამოცემა, სახელწოდებით: „*Вестник Тифлисского ботанического сада*“: რეკოლუციამდე მასში იბეჭდებოდა მცირე მოცულობის ზუბლიკაციები, უმთავრესად მეცნიერებისათვის ახალი სახეობებისა და სხვა ტაქსონომიური ერთეულების პირველადი აღწერები, ფლორისტული სიანსლევები, ჩანაწერები, დაკვირვებები, ბაღის საქმიანობის წლიური ანგარიშები, კავკასიის ბოტანიკური გამოკვლევების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობები და ინფორმაციები, სხვადასხვა განცხადებები და ა.შ. საბჭოთა პერიოდამდე გამოიცა 51 გამოცემა, საბჭოთა პერიოდში ბაღის რეორგანიზაციამდე (1933 წ.) – გამოქვეყნდა 5 ტომი. მრავალწლიანი შესვენების შემდეგ, 1948 წელს განახლდა „თბილისის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის შრომების“ სახით.

მესამე პერიოდული ორგანო *‘Записки научно-прикладных отделов’*, დაფუძნდა 1919 წ., იარსება 1930 წ-მდე, გამოიცა 7 ნომერი, სადაც იბეჭდებოდა შრომები გამოყენებითი ბოტანიკის დარგისა და ბაღის შესაბამისი განყოფილებების მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგებზე.

აღნიშნული მეტეკველებს, სპეციალურად ორგანიზებული სამეცნიერო განყოფილებების მიერ პრაქტიკულად მნიშვნელოვანი საკითხების სამეცნიერო გამოკვლევების ინტენსიურ და მეტად ნაყოფიერ კვლევის შედეგებზე.

კავკასიის ბუნებრივი ფლორისა და მცენარეულობის დეტალური შესწავლის უფრო ფართო და ნაყოფიერი გამოკვლევების ორგანიზაციისათვის და მცენარეების აკლიმატიზაციისათვის ბუნებრივ ჰირობებთან ახლოს მდგომ გარემოში ცდების ჩატარება, აუცილებელს სდიდა ბაღისათვის გეოგრაფიული ფილიალების დანარსებას (განყოფილებების სახით), უზირველესად მთავარ კლიმატურ ზონებში, ხოლო სამეცნიერო მიზნების მისაღწევად მათ სახდღრებში სხვადასხვა ჰუნქტების გამოყოფას.

ბაღის განყოფილებების გეოგრაფიული განლაგება მოიცავდა შემდეგ ზონებს:

1. დაბლობი-ნახევრადუდაბნოს ზონა - „ეარაიასის განყოფილება“; ამავე ზონაში მდებარეობდა აქსტაფისა და მუღანის საცდელი მინდღრები.
2. „დაბლობი - ტენიანი“ ზონა, ანუ ტენიან-სუბტროპიკული ტეის ზონა - „კოლხეთის ტეის განყოფილება“ და იქვე ორი საცდელი მინდღრე: ოზურგეთსა და ქუთაისში.
3. მაღალმთიანეთის მდელო-ტეის ზონა - „ბაკურიანის განყოფილება“.
4. „მთის ქსეროფილური“ (მთიანი-სტეპები) ზონა - „გოჯის განყოფილება“, გოჯის ტბის (სევანის) სანაპიროზე.

ამ ჰერიოდინდან იწყება სამკურნალო მცენარეების კოლექციების ფორმირება აღნიშნულ გეოგრაფიულ განყოფილებებში და დიდ ფართობებზე მთელი რიგი სამკურნალო მცენარეების ზღანტაციების ჩაერა.

ასე მავ.: 1913 წელს ბოტანიკური ბაღის გეოგრაფიულ განყოფილებაში ბაკურიანის მაღალმთიანეთში შეიქმნა **ტექნიკური და სამედიცინო მცენარეების** განყოფილება (კოლექცია), სადაც თავმოყრილი იყო კავკასიის ალზურ სარტყელში გავრცელებული ამ ჯგუფის საინტერესო მცენარეები. მაღალი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის მხრიდან, აგრეთვე მაღალმთიანეთის სარტყელის სხვა ღარიბი კუთხეების ინტერესების გათვალისწინებით, 1912-1913 წლებში საფუძველი ჩაეყარა ინსექტიციდური თვისებებით გამორჩეული კავკასიური, იგივე სპარსული (*Pyrethrum roseum*) გვირილას ზღანტაციებს. 1913 წლის ზაფხულში ტანაწურის ტბის მიდამოებში შეკროვდა ამ მცენარის 3500-ზე მეტი ბუჩქი, რომლებიც დაირგო მზიან მხარეს განლაგებულ კვლებში.

გარდა ამ ორიგინალური, კლასიკური ადგილსამყოფლიდან შეგროვილი მცენარეების წმინდა ჰლანტაციისა, გაშენდა 1912 წელს მოსკოვის საავტორო ფირმიდან „იმერი და შვილი“ გამოწერილი *Pyrethrum roseum* და *P. carneum*-ის თესვებით გამრავლებული მცენარეების ჰლანტაცია. საფუძველი ჩაეყარა სამკურნალო შმაგას (*Atropa belladonna*) და ფუტკარას (*Digitalis ferruginea*) ჰლანტაციებს.

სამკურნალო მცენარეების მასშტაბური მოშენება დაიწყო ბოტანიკური ბაღის სხვა სტაციონარებშიც.

თბილისის ბოტანიკური ბაღის სპეციალისტების მიერ კავკასიის ფლორის სამკურნალო მცენარეების საფუძვლიანი შესწავლა, რესურსების გამოვლენა, კოლექციების შექმნა და ჰლანტაციების გაშენება I მსოფლიო ომის წლებში იწეება, რაც ფრონტის სამკურნალო მცენარეებით მომარაგებასთან იყო დაკავშირებული. სხვადასხვა ორგანიზაციებისა და რა თქმა უნდა, ძირითადად, ბოტანიკური ბაღის, კავკასიაში ჰიროველი სამეცნიერო ბოტანიკური ცენტრის უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ე. წ. „სამხედრო ორგანიზაცია“, რომელიც ანსორციელებდა კავკასიის ფლორის სამკურნალო მცენარეების არსებული რესურსების გამოვლენას, მათ შეგროვებას და შესწავლას.

1914-15 წლებში ბაღის დირექტორის ა. როლოვის, წამყვანი სპეციალისტების: მთავარი ბოტანიკოსის ა. ფომინის, ბოტანიკოს-ფლორისტის დ. სოსნოვსკის, ბოტანიკოს-ფლორისტის ა. გროსჰეიმის, ბოტანიკოს-სელექტორ მებაღის ვ. სავიჩის, ბოტანიკოს ბ. შიშკინის, ბოტანიკოს ა. მაიროვის, კონსერვატორების ა. დანილოვის, ე. კენიგის, ვ. კუსისის, ლ. შეპიოტის, ს. არსნიანის, ვ. კოზლოვსკის, მიწათმოქმედების დეპარტამენტის ბოტანიკოსის ი. ვორნოვისა და სხვათა მონაწილეობით დაიწყო კავკასიის სხვადასხვა ფლორისტულ რაიონებში ექსპედიციები სამკურნალო ფლორის შესწავლის, ბოტანიკური გამოკვლევების, თბილისის ბოტანიკური ბაღისა და გეოგრაფიული განყოფილებებისათვის სამედიცინო მცენარეების სარგავი და საჭერბაროუმო მასალის, ასევე არმიის საჭიროებისათვის სამკურნალო ნედლეულის შეგროვების მიზნით.



ა. როლოვი ბაღის თანამშრომლებთან ერთად, 1914 წ.

1915 წელს მიწათმოქმედების დეპარტამენტის მიერ დაშვებული იქნა 1200 მანეთი ბაღის სხვადასხვა გეოგრაფიულ განყოფილებებში (ყარაიაჯის, გოქჩის, ბობოქვათის, ბაკურიანის) სამკურნალო მცენარეების სანერგეების შესაქმნელად. იწეება ცალკეული სამკურნალო კულტურის ჰლანტაციების გაშენება, იზრდება კოლექციები, გროვდება თესვები, ჰერბარიუმი, სამკურნალო ნედლეული. ფართოვდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება სამკურნალო მცენარეების კოლექცია თბილისის ბოტანიკურ ბაღშიც, იქმნება სახევნებელი ექსპოზიციებიც.

ასე მაგალითად: 1915 წლის 22 სექტემბრიდან ბაღის სპეციალისტები ა. გროსჰეიმი და ა. მაიოროვი, სამკურნალო მცენარეების აღრიცხვისა და შეგროვების მიზნით, ზრინც ალექსანდრე ზეტრეს-ძე ოლდენბურგის ბრძანების თანახმად, მივლინებულნი იყვნენ კავკასიის შავი ზღვისპირა რაიონებში, ჯერ ტუაშსეს, შემდეგ ვაგრასა და მის ახლომდებარე მიდამოებში. მათ მიერ ტუაშსის რ-ში გამოვლენილი იქნა რიგი სამკურნალო მცენარეების (მთის ჩადუნა - *Dryopteris filix mas*, კულმუხო - *Inula helenium*, ლემა - *Datura stramonium*, ლენცოფა - *Hyoscyamus niger*, გვარი ასკილის - *Rosa* სხვადასხვა სახეობები, აბზინდა - *Artemisia absinthium*, ფითრი - *Viscum album*, კავკასიური ხარისძირა - *Helleborus caucasicus*, კეაღლიჭი - *Smilax excelsa*, სვია - *Humulus lupulus* და სხვ.) მირითადი მარაგები, შეგროვდა ნედლეული

არმიის საჭიროებისათვის და სარგავი მასალა კოლექციებისათვის. გავრცის რაიონში აღრიცხულ იქნა შმაგას - *Atropa belladonna*, თავშავას - *Origanum vulgare*, სამკურნალო მიძოსი - *Melilotus officinalis* და სხვა სამკურნალო მცენარეების რესურსები.

ამავე წელს ბაღის კონსერვატორი ე. კენიგი მივლინებული იყო სიღნაღის რ-ში სამკურნალო მცენარეების სარგავი მასალისა და არმიის საჭიროებისათვის სამკურნალო ნედლეულის შესავროვებლად. მკ საწარმოს მანშრუტი იყო: ტიფლისი-წნორის წყალი - ჭიაური-ლაგოდეხი-სიღნაღი-შირაქის სტეპი.

1915 წლის შემოდგომით სამკურნალო მცენარეების გამოფენის, მარგის დადგენის, ნედლეულისა და სარგავი მასალის ორგანიზაციისათვის, ბაღის ბოტანიკოსი დ. სოსნოვსკი მივლინებულ იქნა მანგლისში, შრიუტსა და სოღანლუღში (ფონიჭალა). ამავე მიზნით მივლინებულნი იყვნენ: ბაკურიანის განყოფილების გამგე ვ. კოზლოვსკი ბაკურიან-ბორჯომის რაიონებში; კონსერვატორი ე. კენიგი - ლაგოდეხის რ-ში; მიწათმოქმედების დეპარტამენტის შრაქტიკანტი ლ. შეძიოტი სურამში; შრაქტიკანტი ნ. ზტიცინი - ქუთაისის გუბერნიასში; სპეციალისტი მემინდგრეობის საკითხებში ვ. კუსისი და კონსერვატორის მოადგილე ს. არსიზიანი თბილისის მახლობლად მცხეთასა და უარაიაში (გარდაბანი) და ა. შ. მათ მიერ გროვდებოდა ჰერბარიუმი, თესვები, სარგავი მასალა და სამკურნალო ნედლეულისათვის საჭირო მცენარეები.

შოლოდ ერთ წელიწადში შეგროვდა: 1. სხვადასხვა სამკურნალო მცენარის (შმაგა - *Atropa belladonna*, ვარდისფერი გვირილა - *Pyrethrum roseum*, ლენცოფა - *Hyoscyamus niger*, ფარსმანდუკი - *Achillea millefolim*, თავშავა - *Origanum vulgare*, ქერიფქლა - *Verbascum thapsiforme*, ლემა - *Datura stramonium*, ბალბა - *Malva silvestris*, ასკილი - *Rosa canina*, ტეემალი - *Prunus divaricata*, წეავი - *Laurocerasus officinalis*, შავჯავა - *Rhamnus pallasii*, ხეშავი - *Rh. cathartica*, ხეჭრელი - *Frangula alnus* და სხვ.) თესვები, სულ 3200 ფუნტის რაოდენობის (1 ფუნტი= 453,5924 გრამს).

2. სარგავი მასალა ცოცხალი მცენარეების, ფესურებისა და ბოლქვების სახით შემდეგი სახეობების: ნიკვსისძირა - *Geum urbanum*, თავშავა - *Origanum vulgare*, შმაგა - *Atropa belladonna*, შრომანა - *Convallaria majalis*, ვირისტერფა - *Tussilago farfara*, კატაბალანა - *Valeriana officinalis*, ვარდისფერი გვირილა - *Pyrethrum roseum* და სხვ. მრავალი, სულ 85000 ეკ შემწლარი;

3. სამკურნალო ნედლეულის მასალა - მშრალი ფოთლები, ფესვები,

ნაყოფები, ქერქი - შემდეგი მცენარეების: შმაგა - *Atropa belladonna* (ფესურა) ლემა - *Datura stramonium* (ფოთლები), მოცვი - *Vaccinium myrtillus* (ნაყოფები), კოლო - *Rubus idaeus* (ნაყოფები), ბროწეული - *Punica granatum* (ნაყოფების მშრალი ქერქი), შსამა - *Eratrum album* (ფესურა), ბამბის ბუჩქი აფრიკული - *Gossypium herbaceum* (ფესვები), კატაბალანა - *Valeriana officinalis* (ფესურა ფესვებითურთ) და სხვ., 2500 ფუნტი.

ამ ძალიან მოკლე ჩამონათვლიდან, რომელიც მხოლოდ ერთ წელს მოიცავს, ნათლად ჩანს თუ რა მასშტაბურ სამუშაოებს აწარმოებდნენ ბოტანიკური ბაღის სპეციალისტები XX საუკუნის დასაწყისში, ბაღის ჰირველი დირექტორის ა. როლოვის ხელმძღვანელობის ჰერიოდში.

1915 წელს თბილისის ბოტანიკური ბაღის ხეხილის სანერგეში, 400 კვ. საჟენის (1 საჟენი=213,36 სმ) ფართობზე მოეწეო სამკურნალო მცენარეების სანერგე, სადაც დაითესა 20-მდე სახეობის თესლი. გარდა ამისა, ბაღის ბაკურიანის განყოფილებაში საფუძველი ჩაეყარა ფუტკარასა (*Digitalis ferruginea*) და შმაგას (*Atropa belladonna*) ჰლანტაციებს 1200 კვ საჟენის ფართობზე. გოჯის (სევანის) განყოფილებაში დანიწო სამკურნალო მცენარეების სანერგის ფორმირება, იმ სამკურნალო მცენარეების (აბზინდა, კაკასიური (ვარდისფერი) გვირილა, შმაგა, ჰიტნა, ლემა, ლენცოფა, ფუტკარა და სხვ.) გამრავლების მიზნით, რომელთა კულტურა შესაძლებელი იქნებოდა მკაცრი კლიმატის ამ მდლამთიან რაიონში. დაარსების დღიდანვე მიმდინარეობდა მეტეოროლოგიური და ფიტოფენოლოგიური დაკვირვებები. 1917 წ. თბილისის ბოტანიკურმა ბაღმა დაკარგა აღნიშნული გეოგრაფიული განყოფილება.

სამკურნალო მცენარეების ინტენსიურად გამოკვლევის მიზნით 1916 წელს შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო განყოფილება, რადგან იმ დროისათვის არ იყო შერჩეული დარგის სპეციალისტი, განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ ბაღის დირექტორი ა. როლოვი და ბაღის მთავარი ბოტანიკოსი ზ. მიშენკო. მათ მიერვე იქნა ორგანიზებული ვლესების მიერ სარგავი მასალის შეგროვება „სამკურნალო ორგანიზაციის“ (დამტკიცებული ჰრინც ალექსანდრე ჰეტრეს-ძე ოლდენბურგის მიერ) სანერგეებისათვის. ამ წელს დასარგავად შეგროვდა სამკურნალო კატაბალანის 20000-ზე მეტი ფესურა, რომლებიც ვადანაწილდა როგორც კერძო ჰირების, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სანერგეებში. ამავე წელს ბოტანიკური ბაღის მიერ მოხდა თბილისის მიდამოებში სოფ. წავკისში და კახეთში არენდით აღებული ნაკვეთების ჰლანტაციირება, მომავალი წლისათვის



კატაბალანას და შმაგას ზღანტაციების შესაქმნელად.

1916 წ. ბაღის ტერიტორიაზე გაფართოვდა წინა წელს მოწუობილი სამკურნალო მცენარეების სანერგის ფართობი, ცოცხალი კოლექციისათვის მთლიანად გამოყოფილი იყო 900 კვ. საექანი (1 საექანი=213,36 სმ), დაიწყო უმთავრესად კავკასიის ფლორის სამკურნალო მცენარეების სამეცნიერო კოლექციის შექმნა, ხოლო საჩვენებელი ექსპოზიციებისათვის შეიქმნა თბილისის კლიმატს შეგუებული უცხო ქვეყნების ფარმაცოქანში გამოყენებული მნიშვნელოვანი სამკურნალო მცენარეები. მხოლოდ ზირველ წელს შეგროვდა და საცდელ ნაკვეთებზე დაირგა 60-მდე სახეობის სამკურნალო მცენარე.

1916 წლის 1 დეკემბრიდან ე. წ. „სამკურნალო ორგანიზაციის“ სახსრებით, განუყოფილების გამგის თანამდებობაზე მოწვეულ იქნა სამკურნალო მცენარეების მცოდნე - სპეციალისტი ტომსკის უნივერსიტეტის ფარმაცოლოგიის კათედრის ასისტენტი ლეონიდ უტკინი.

განუყოფილების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა: 1. ადგილობრივი სამკურნალო მცენარეების, როგორც ფარმაცოქანში ცნობილი, ასევე ბუნებაში ახლად გამოვლენილის და 2. ხალხურ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარეების შესწავლა. განუყოფილება განავგებდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლექციებსა და სანერგეებს როგორც ბაღის ტერიტორიაზე, ისე თბილისის მიდამოებში, კერძოდ წავკისში, ზღვ. დ. 950 მ სიმაღლეზე, ასევე კავკასიის სწვადანსვა რეგიონში არსებულ ბაღის გეოგრაფიულ განუყოფილებებში, სადაც გამრავლების საკითხების ზარბაზნურად ისწავლებოდა მათი ბიოკოლოგიური თავისებურებები და აგროტექნიკური მანუალებები.

ბაღის მშვიდობიანი განვითარება მალე შეწყდა საბედისწერო ისტორიული მოვლენებით. ზირველ მსოფლიო ომს მოჰყვა სამოქალაქო ომი, მნიშვნელოვნად შენედა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ბოტანიკურ ბაღშიც. წარმოიშვა უდიდესი სიმწვლეები როგორც ბაღის მატერიალური მომარბვების, ისე მისი სამეცნიერო კადრების შენარჩუნების საქმეშიც. ბაღიდან წავიდნენ გამოარჩეული სპეციალისტები: ზ. მიმინკო, ი. ვორონოვი, ა. მაიროვი, გ. კუშკე, ნ. მაქსიმოვი, ვ. სავიჩი და სხვ. მეცნიერ თანამშრომელთა რაოდენობა თითქმის განახევრდა.

„ომისა და რევოლუციის წლები, ისევე როგორც ევგლა საწარმოო ძალეებს, მალე მტკიცურულად დაეტყო ბოტანიკურ ბაღსაც. არა მარტო არ მისცეს მას სამუალება შედგომი განვითარებისა და თავისი საქმიანობის გაღრმავებისა, არამედ რეგრესისა და ერთ წერტილზე გაუინვის წლებში

შეუძლებელი გახდა შეენარჩუნებინა თავისი ჰირვანდელი მღვამარეობა“ (ციტ.: გოგოლიძე, სსიერელი, 1986).

ძალზე დახიანდა, ბევრ შემთხვევაში სრულად განადგურდა ბაღის ცალკეული ნარგავები, საქსაულის წარაფი, მლანობის მცენარეთა განუოფილება, ბაღს ჩამომორდნენ გეოგრაფიული განუოფილებები. იყო მხოლოდ ცალკეული, სმირად უშედეგო ცდები უნიკალურ მცენარეთა და ღირსშესანიშნაობათა შესანარჩუნებლად.

1923 წლიდან ი. ლომოურის დირექტორობის ჰერიოდდან (1923-1928 წ.წ.) ისახება ბაღის აღდგენისა და აღორძინების ჰერისექტივები.

რეკოლუციის შემდგომ, საქართველოში თანდათანობით იზრდება მეცნიერებით დანტერესებულ ქართველ სპეციალისტთა რაოდენობა. ამ ჰერიოდში ბოტანიკური ბაღის დირექტორებმა **ზ. ეანჩაველი** (1928-1930 წწ) და **დ. გედევანიშვილი** (1930-1933 წწ), შემოიკრიბეს ნიჭიერი ახალგაზრდები, შემდგომში ცნობილი მეცნიერები: **ნ. კეცხოველი, ლ. ეანჩაველი, ვ. მენაბდე, ქ. ბახტაძე, ლ. კეჟელარი, თ. სულაკაძე, ლ. ჯაფარიძე, მ. სახაკია, ა. მაჟანიშვილი, ა. სანაძე, მ. ტომოშვილი, ა. კოლაკოვსკი, ა. დოღუსანიანი, ზ. იაროშენკო, ი. თუმაჯანიანი, ა. მაგაკიანი, ა. ანგერდოვი და სხვ.**, სწორედ მათი დიდი ძალისხმევით, ძველი თაობის სპეციალისტებთან ერთად შესაძლებელი გახდა სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობაში არსებული ქაოტური მღვამარეობის გადალახვა და ნორმალურ კალაპოტში ჩაეყენება. ბაღი კვლავ ხდება ცენტრალური სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება ამიერკავკასიის მასშტაბით.

შემდგომში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ზრდასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა განუოფილებების გამსხვილება და ზოგი მათგანის დამოუკიდებელ დარგობრივ ორგანიზაციებად გამოყოფა. ასე გამოეყო ბოტანიკურ ბაღს 1933 წელს ცალკე დაწესებულებად ბოტანიკის ინსტიტუტი. მთელი მეცნიერული საქმიანობა, ჰერბარიუმი, ბიბლიოთეკა, მუზეუმის ექსპონატები, ინვენტარი, აღჭურვილობა და სხვ. ბოტანიკის ინსტიტუტის ხელში გადავიდა; ბოტანიკის ინსტიტუტიდან თავის მხრივ გამოჰყვეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები: მცენარეთა დაცივის ინსტიტუტი, მემინდრობის ინსტიტუტი, სახელმწიფო სასელექციო-საცდელი სადგური. **სოლო თვით ბოტანიკური ბაღი თბილისის საბჭოს აღმასკომის გამკებლობაში შევიდა სასეიწრო ბაღის ფუნქციით.**

ამ ჰერიოდში სამუშაოები სამკურნალო მცენარეებთან მიმართებაში

კვლავ მიმდინარეობდა, თუმცა არა ადრინდელი მასშტაბით, სრულად შეწყდა სამეცნიერო ზოტენციალის გადინების შემდეგ (1934), როდესაც ბაღში მთლიანად შეჩერდა სამეცნიერო-კულევითი სამუშაოები, თანდათან განადგურდა არსებული სამკურნალო მცენარეების სპეციალური კოლექციები, გაუქმდა სამკურნალო მცენარეების სამეცნიერო განყოფილება.

*ამგვარად, სამკურნალო მცენარეების განყოფილების აღორძინების პერიოდი ემთხვევა ა. როლოვის დირექტორობის პერიოდს 1898-1918 წლებს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით მის ირგვლივ შემოკრებილ მალაკუვარულიციურ სპეციალისტებს, რომელთა ძალისხმევითა და დაულადავი შრომის შედეგად თბილისის ბოტანიკური ბაღი გადაიქცა კავკასიაში (და არა მარტო) პირველ მსხვილ ბოტანიკურ სამეცნიერო ცენტრად.*

*აღსანიშნავია, რომ ა. როლოვის მიერ დაარსებულ სამკურნალო მცენარეების პირველ სამეცნიერო განყოფილებას მიმდინარე (2016) წლის განზაფხულზე 100 წელი შეუსრულდა.*

კავკასიის ფლორის სამკურნალო მცენარეების  
შემსწავლელი ცნობილი მკვლევარები  
(1900-1920-იანი წლები)



ა. როლოვი (1870-1952)  
ბაღის პირველი დირექტორი

ადილფ ქრისტინ როლოვი დაიბადა თბილისში, გერმანული წარმოშობის ოჯახში. 1891 წელს დაამთავრა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია. 1892 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, შემდეგ ექსპერტად კავკასიის ფლორის შესახებ კომიტეტში, წამუვან სპეციალისტად ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტში და მმართველად თბილისის ბოტანიკურ ბაღში. 1902 წლიდან 1918 წლამდე იყო თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორი; 1919-1921 წლებში მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის

სამინისტროში. საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ როლოვი განაგრძობდა ზედვ ოვ იურ მოღვაწეობას მის მიერვე დაარსებულ თბილისის ბოტანიკური ბაღის მებაღეთა სკოლაში, საქართველოს ჰოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კავკასიის ფლორის სასარგებლო მცენარეებს მიეძღვნა ა. როლოვის 50-ზე მეტი დაბეჭდილი შრომა და სტატია. მათგან უნიკალურია 600 გვერდიანი ფუნდამენტალური ნაშრომი „*Дикорастущия растения Кавказа, ихъ распространение, свойства и применение*“ (Съ обозначением туземныхъ названийъ растений) (1908), სადაც განხილულია კავკასიის ფლორის 1700-მდე მცენარე, მათი მორფოლოგიური ნიშან-თვისებების, ადგილმდებარეობის, სიმაღლის, გავრცელების (უშუალოდ კავკასიანსა და მსოფლიოში), მნიშვნელობის, გამოყენების, ქიმიური შემადგენლობის და ზერსაქტივების მითითებით, რომელიც დღესაც სამკურნლო წიგნს წარმოადგენს, როგორც ბოტანიკოსების, ასევე ტრადიციული მედიცინის მკვლევართათვის.

„ა. როლოვის მოღვაწეობა 1898-1918 წლებში, მის წასვლის დღემდე, ფაქტიურად ეს არის ისტორია თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ემთხვევა ამ მსხვილ სამეცნიერო დაწესებულების თანდათანობითი განვითარების ევლასზე კაპკასა ფურცლებს .... ეოველთვის ხალისიანი და საქმიანი, აქვს უნარი მერჩიოს თანამშრომლები და დააფასოს მათი საქმიანობა, ეოველ შემხვედრს უნებლიეთ ვადასლებს თავის მჩქეფარე და დაუმრეტელ ენერჯიას; საოცრად ვაწიანსწორებული ურთიერთობაში, თანაბარი სპეციალისტებთან და მუშებთან, ეოველგვარი ინციდატივის წამხალისებელი, ადოლოფ ქრისტიანის-მეს მესწევს უნარი დაიპრობს ევლას ვული და აიძულოს ევლა, უევარდეს ის ორგანიზაცია, სადაც ის მუშაობს“... ეს სიტყვები ეკუთვნის დ. სოსნოვსკის, რომელიც მან წარმოთქვა ა. როლოვის სამეცნიერო ავრონომიული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე.



ა. გროსგეიმი (1888-1948)


თბილისის ბოტანიკურ ბაღში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა კავკასიის ფლორის ვამორჩეული მკვლევარი ალექსანდრე ალფონსის-მე ვროსჰეიმი. დანტერესებული იყო რა კავკასიის ფლორის მესწავლით, მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ტიფლისის ბოტანიკურ ბაღში მუშაობა დაიწყო ჯერ პრაქტიკანტად, შემდეგ 1914-26 წლებში ბოტანიკოს-ფლორისტად. დიდი წვლილი მიუძღვის კავკასიის ფლორის განყოფილების ფორმირებაში, კავკასიაში სამკურნალო მცენარეების მარავის

დადვენასა და კოლექციების შექმნაში. 1917-30 წლებში კითხულობდა ლექციებს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მისი შრომების ძირითადი ნაწილი ეძღვნება კავკასიის ფლორას, მის მცენარეულობასა და რესურსებს. ავტორია მრავალი შრომის და პუბლიკაციების, მათ შორის მეტად მნიშვნელოვანი იყო თანავტორებთან (A. A. Гроссгейм, Д. И. Сосновский, Б. К. Шишкин) ერთად გამოცემული «Флора Тифлиса», часть первая, с 87 рис. в тексте (1925), „Определитель растений окрестностей Тифлиса « (Сосновский Д. И., Гроссгеймъ, 1920); კანტატალური შრომები: „Флора Кавказа“ 4 ტომეული (1928-34); II გამოცემა დაუმთავრებელია, გამოვიდა 1939-67 წლებში 7-ტომეული, „Анализ

флоры Кавказа" (1936), „Растительные ресурсы Кавказа" (1946), „Растительный покров Кавказа" (1948), „Определитель растений Кавказа" (1949), „Реликты восточного Закавказья" (1940), „Растения Кавказа для борьбы с вредителями" (1943), „Дикие съедобные растения Кавказа" (1942) და სხვ. მის მიერ შემოთავაზებული ფარულთესლოვანების ბრწინვალე, ორიგინალური ფილოგენეტიკური სტრუქტურა (1945).

ვროსჰეიმის მიერ ინდური ლოტოსიდან (*Nelumbo nucifera*) დამოუკიდებელ სახეობად იქნა გამოყოფილი შორეულ აღმოსავლეთში მოხარდი მცენარე, რომელსაც ბ. კომპოზივის სანატევეცემულოდ მისი სახელი უწოდა. ასევე მის მიერაა აღწერილი კავკასიის ფლორის უამრავი ახალი ტაქსონი.

ა. ვროსჰეიმის ინიციატივით დაარსდა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1936-1947 წლებში. 1947 წლიდან ვარდაცვალებამდე იყო ლენინგრადის ბოტანიკური ინსტიტუტის კავკასიის ფლორის სექტორის გამვე და ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამვე.



ფარულთესლოვანების სისტემა ა. ვროსჰეიმის მიხედვით (1945)



ა. ფომინი (1867-1935)

ალექსანდრე ვასილის-ძე ფომინი 1888-1890-იან წლებში ნ. კუზნეცოვთან და ნ. ბუშთან ერთად იყო კავკასიაში ბოტანიკურ-ვეთერინარული ექსპედიციების მონაწილე. 1902-14 წლებში მუშაობდა თბილისის ბოტანიკურ ბაღში მთავარ ბოტანიკოსად. მისი ხელმძღვანელობით აქტიურად მიმდინარეობდა ბაღში ცოცხალ მცენარეთა კავკასიური ვანოფილების კოლექციის ფორმირება, განხორციელდა მთელი რივი ექსპედიციები როგორც თბილისის მიდამოებში, ასევე საქართველოსა და კავკასიის მთრეულ პროვინციებში. ექსპედიციებიდან ჰერბარიუმთან და

თესლებთან ერთად ჩამოაჭინდა უამრავი სარგავი მასალა. 1901 წ. ნ. კუზნეცოვის, ნ. ბუშისა და ა. ფომინის ავტორობით გამოიცა «*Flora caucasica critica* (პირველი გამოცემა), რომელიც ვ. ლიანკის შეფასებით არის „მეტად სასარგებლო და კაპიტალური (კოლექტიური) შრომის საწყისი, რომლის მიზანია კავკასიის ფლორის (ყირიმის ჩათვლით) ფართო ფაქტიური მასალის კრიტიკული ვარკვევა“. ტიფლისში ა. ფომინისა და ი. ვარონოვის (1907-1919) ავტორობით გამოვიდა აგრეთვე «*Определитель растений Кавказа и Крыма*» -ს რამდენიმე გამოცემა.

დიდი წვლილი მიუძღვის სამკურნალო მცენარეების შესწავლისა და კავკასიაში მათი მარავის გამოფენის საქმეში, კოლექციების ფორმირებაში ბაღის ვეგეტაციულ ვანოფილებებში მის მიერაა აღწერილი კავკასიის ფლორის მთელი რივი ბოტანიკური ტაქსონები.

1914 წლიდან კიევის ბოტანიკური ბაღის დირექტორია, 1921 წ. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხოლო 1927 წ. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ფომინის საპატენტო მუშაოდ კავკასიაში მრავალ ახლად აღწერილ სახეობას მისი სახელი დაერქვა, მაგ.: ფომინის ბუერა (*Petasites fominii Bordz.*)



დ. სოსნოვსკი (1886-1953)

დიდი ივანის-ძე სოსნოვსკის (ცნობილი ბოტანიკოსი, სისტემტიკოსი და ფიტოკოვოგრაფი) უაღრესად დიდი წვლილი მიუძღვის კავკასიის ფლორის შესწავლისა და თბილისის ბოტანიკური ბაღის კავკასიის მასშტაბით გამოჩენულ სამეცნიერო დაწესებულებად ხამოყალიბებაში, სადაც მოღვაწეობდა 1909-1933 წლებში, ხოლო 1934 წლიდან ვარდაცვალებამდე თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში. აღწერა კავკასიის მცენარეული საფარი და შეიმუშავა მისი ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარბაზები. აქტიურ მონაწილეობას იღებდა „საქართველოს ფლორის“ (1941-1952)

გამოცემისა და ამიერკავკასიის მცენარეული საფარის რუკების შედგენაში; ავტორია მრავალრიცხოვანი შრომების კავკასიის ფლორის, მისი მცენარეულობისა და ბოტანიკური გეოგრაფიის მიმართულებით. მათ შორის უნიკალურია თანავტორებთან ერთად გამოცემული: *Сосновский Д.И., Гроссгейм А.А. Определитель растений оерестностей Тифлиса (1920), Сосновский Д.И., Гроссгейм А.А., Шишкин Б.Л. Флора Тифлиса, часть первая (1925)*. მის მიერაა აღმოჩენილი და აღწერილი კავკასიის ფლორის 130-მდე ახალი სახეობა.

დიდა დ. სოსნოვსკის წვლილი კავკასიის ფლორის სამკურნალო მცენარეების შესწავლასა და მარაგების გამოვლენაში. ამ მიმართებით, მის მიერ დაწვრილებითაა შესწავლილი კავკასიის მთელი რივი რევოიონები. იყო არაპერიოდიული გამოცემის „Заметки по систематике и географии растений Кавказа“ ორგანიზატორი, რომლის 17 გამოცემა 1938- 1953 წლებში გამოქვეყნდა. კავკასიის მრავალ სახეობას მისი სახელი ეწოდა. 1936 წ. ა. ტანტაჯიანმა ასტრასებრთა (როულეფავილოვანთა) ოჯახის ერთ-ერთ ვეარს - *Sosnovskya Takht*. დაარქვა. თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის სისტემტიკოსმა, ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორმა იდა მახდენოვამ დივის ერთ-ერთ ახალ სახეობას დ. სოსნოვსკის სახელი დაარქვა. 1941 წლიდან საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა, ხოლო 1950 წლიდან ვარდაცვალებამდე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.





**ბ. შიშკინი (1886-1963)**

ცნობილი სისტემატიკოსი-ფლორისტი ბორის კონსტანტინეს-ძე შიშკინი 1918-1925 წლებში იყო ტიფლისის კავკასიური მუზეუმის განყოფილების ვამკე. ამ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში. გულდასმით შეისწავლა აღმოსავლეთ ამერიკაკავასიის ფლორა. მის მიერაა აღწერილი კავკასიის ფლორის ათობით ახალი სახეობა. ბოტანიკურ ბაღის შრომებში იქნა გამოქვეყნებული ბ. შიშკინის (1917, 1919, 1922, 1925), პირველი ფლორისტული ხანაწერები, რომლებიც ეძღვნებოდა კავკასიის ფლორის (ერევნისა და ტიფლისის მიდამოების) იშვიათ, ახალ და კრიტიკულ სახეობებს. თანაავტორებთან ერთად შეისწავლა თბილისის მიდამოების

ფლორა, *Сосновский Д.И., Гроссгейм А.А., Шишкин Б.Л. Флора Тифлиса, часть первая (1925)*, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს და დღესაც ბოტანიკოსების სამავიღო წიგნია. შემდგომ, «Флора СССР» - ის ერთ-ერთი ფუძემდებელია, 1938-49 წლებში ლენინგრადის ბოტანიკური ინსტიტუტის დირექტორი, 1945-58 წლებში ლენინგრადის უნივერსიტეტის პროფესორი, საკავშირო ბოტანიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1946-1963), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.



ა. მაიკარაძე

ალექსი ალექსანდრეს-ძე მაიკარაძე, ბოტანიკოს-ფლორისტი, ზროფესორი, საქმისათვის თავდადებული მეცნიერ-მკვლევარი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კავკასიის ფლორის შესწავლაში, მათ შორის სამკურნალო მცენარეების რესურსების გამოვლენასა და ბოტანიკურ ბაღში კოლექციების ფორმირებაში. ბოტანიკურ ბაღში მუშაობის პერიოდში, (1915, 1919, 1925, 1926 წლებში), მის მიერ დაწვრილებით იქნა შესწავლილი ფლორისტული თვალსაზრისით უაღრესად რთული რეგიონის, დაღესტნის, მახჩკავასთან ახლოს ძღებარე, როგორც მას უწოდებენ ბუნების საოცარი ფენომენის სარიკუმის

(თარგმანში „ვეითელი ქვიშა“) ქვიშნარების მცენარეულობა, რომელიც წარმოადგენს კამეჩვარების შემდგომი ეპოქის ფლორის ცოცხალ მუზეუმს და მიიხსენიებს მსოფლიოში უკვლახე მსხვილ იზოლირებულ ქვიშნარის მასივად. მეცნიერების აზრით, ეს ქვიშნარი მიუბიწნა წარმოქმნილია ფხვიერი კვარცის, კამკამა ვეითელი ფერის ქვიშისაგან, უკავშირდება 10 ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ქარების ქროლვას; მთის სიმაღლე ზღვ. დ. 252, 2 მ-ია და მსოფლიოში ქვიშნარი მთის სიმაღლის მიხედვით მეორეს (საჰარაში ერვის მთის სიმაღლე 350 მ-ია), საერთო ფართობი 500 ჰა შეადგენს.

ა. მაიკარაძემ კვლევის შედეგები ასახა წიგნში «ДОЛОВА ПУСТЫНЯ» („ეოლას უდაბნო“, „ეოლა“ - ქარის დმერთია), სადაც აღრიცხულია 250-ზე მეტი სახეობა, მათ შორის ბევრი უძველესი უდაბნოს რელიქტი, ენდემი, იშვიათი და ვადაძენებადი სახეობა, კერძოდ: ქვიშნარის მათრახა, უფოთლო ერემოსპარტონი, ეარაგუმის ცღერძი, ღემანის ცღერძი, უფოთლო ჯუხლუნი, შიქინის თავუვითელა, მახვილწვერა ზამბანი, კამკამა უცუნა და სხვ.

«Кажется, никакой, даже самый фантастический ландшафт не в состоянии сравниться по оригинальности и могучей красоте с необыкновенной панорамой... Могучий передовой барханный вал производил грозное впечатление. Казалось, взметнувшийся высоко в небо свой гребень, он в следующий момент обрушится всею массой песка вниз...» ასე აღწერდა სარიკუმზე საკუთარ მთაბუკდილებებს ცნობილი ბოტანიკოსი ა.

მსოფლიო (<http://pro-derbent.ru/34-luchshee/dagestan/210-sarykum-zapovednaya-pustynya-u-vorot-dagestana>) © [www.pro-derbent.ru](http://www.pro-derbent.ru)



სარკი-კუმის ბატისანები (*Sarycum barkhan*)




ო. ვორონოვი (1874 -1931)

იური ნიკოლოზის-ძე ვორონოვი დაიბადა თბილისში, ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია, სწავლა გააგრძელა ნოვოროსიისკისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში, მონაწილეობდა და პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტში. მისი ცნობებების ეფუძნებოდა ნოვოროსიის პროვინციის თბილისთანავე დაკავშირებული. იყო თბილისში არსებული კავკასიის მუსეუმის დირექტორი, კითხულობდა ლექციებს თბილისის ჰოლოტენიკურ ინსტიტუტში. 1906-1917 წლებში სამეცნიერო საქმიანობა გააგრძელა თბილისის ბოტანიკურ ბაღში ჯერ კონსერვატორად, შემდეგ ფლორისტად. მრავალი წელი სწავლობდა კოლხეთის ფლორას, განსაკუთრებით აფხაზეთის მცენარეულობას. 1925 წელს გამოაქვეყნა

კანტატურის ნაშრომი «Итоги изучения флоры Абхазии за 100 лет». ასევე, მისი მრავალი პუბლიკაცია ეძღვნება აჭარის ფლორას. დიდი წვლილი მიუძღვის კავკასიის რეგიონის უავილოვანი მცენარეების სისტემატიზაციაში. აღწერილი აქვს 150-მდე ახალი სახეობის მცენარე. მისი სახელი ეწოდა ერთ ვარსა და 38 სახეობას, მათ რიცხვშია ვორონოვის თეთუვავილაც (*Galanthus woronowii* Losinsk).

მნიშვნელოვანია ი. ვორონოვის წვლილი სამკურნალო მცენარეების ადგილსამყოფლების დადგენის, არსებული მარაგების შესწავლაში და თბილისის ბოტანიკურ ბაღში კოლექციების ფორმირების საქმეში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ორგანიზაციის „ამიერკავკასიის სცადული მინდვრების“ მთავარი ბოტანიკოსია, რუსეთის მთავარი ბოტანიკური ბაღის კავკასიის ჰერბარიუმის მცველი, გამოყენებითი ბოტანიკის ინსტიტუტის სუბტროპიკული სექტორის გამკვე. ხელმძღვანელობდა პირველ საბჭოთა ექსპედიციას ამერიკის კონტინენტზე (აშშ, მექსიკა, კუბა, პანამა, კოლუმბია, ვენესუელა).



გ.გ. კენიგი

და სხვა მრავალი. ექსპედიციების შედეგები გამოქვეყნებული აქვთ ვერძანულ ენაზე: *Radde G., Koenig E. Das Ostufer des Pontus // Petermann geografische mittheilungen. Gotha, 1894. Ergänzungsheft №112. 63 s. Radde G., Koenig E. Der Nordfuß des Dagestan und das vorlagernde Tiefland bis zur Kuma // Petermann geografische mittheilungen. Gotha, 1893. №117. 63 s.*

ბოტანიკურ ბაღში მას დავალებული ჰქონდა სამეცნიერო-ფლორისტული ვანუოფილებების ხელმძღვანელობა, კოლექციების შეგება, ფენოლოგიური დაკვირვებები არსებულ ნარგავებზე. მეტად მნიშვნელოვანია ე. კენიგის მიერ 1914 წელს ბოტანიკური ბაღის შრომებში გამოქვეყნებული „მასალები კავკასიის ფიტოფენოლოგიისათვის“ („Материалы для фитофенологии Кавказа“), რომელიც მოიცავს 1909, 1910, 1911 წლებში თბილისის ბოტანიკურ ბაღში ჩატარებულ ფენოლოგიურ დაკვირვებებს, ველურად მოხარდი და კულტურული მცენარეების (1350-ზე მეტი სახეობის) ფენოფაზებს, ვეგეილობისა (დასაწიისი, სრული ვეგეილობა, დასასრული) და ნუოფმსხმოიარობის პერიოდებს.

მის მიერ შესწავლილ იქნა ეარსის ოლქისა და ართვინის მაზრის ფლორისტული შემადგენლობა. კავკასიის ფლორისათვის ბევრი სიანხლის შემდგველი იყო კენიგის მიერ შეგროვილი, მეტად სანიტერესო საჭერბარიუძო კოლექცია. ვეგელა აღნიშნული სიანხლე აღწერა ა. ფომინმა ნაშრომში „К флоре Кавказа“ [Соч.] - Тифлис : Тип. К.П. Козловского, 1905.

სამკურნალო მცენარეების ნედლეულისა და სარგავი მასალის შეგროვების მიზნით სხვადასხვა პერიოდში მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში



ბ. მიხეილაძე (1869-1938)

თბილისის შემოკარგნში, კახეთში, ბაკურაძე-  
ცხრაწარსე და ა.შ.

ზაფხუ ივანის-მე მიხეილაძე 1897-1901 წლებში  
სწავლობდა იურიფის უნივერსიტეტში ფიზიკა-  
მათემატიკის ფაკულტეტზე, 1902 წელს მიენიჭა  
ბუნებრივი მეცნიერების კანდიდატის ხარისხი,  
1908 წ. - დავისტრის. ზირველი მსოფლიო  
ომის წლებში მუშაობდა თბილისის ბოტანიკურ  
ბაღში მთავარი ბოტანიკოსის თანამდებობაზე.  
1916 წ. დააწესა ბოტანიკის კათედრა თბილისის  
ზოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1917 წელს  
არჩეულ იქნა ამ კათედრაზე პროფესორად.  
ბოტანიკურ ბაღში მუშაობის პერიოდში  
აქტიურად მონაწილეობდა ექსპედიციებში

კავკასიის სხვადასხვა რეგიონში. კავკასიის  
ფლორის შესწავლის პარალელურად ავროპებდა სანქის მასალას  
სამეურნალო მცენარეების კოლექციისათვის. 1916 წელს ა. როლოფთან  
ერთად ხელმძღვანელობდა სამეურნალო მცენარეების განყოფილებას.  
შეისწავლა ეირიშა და კავკასიაში გავრცელებული ვვარი სტაფურის  
სახეობები, რასაც მიუძღვნა ფუნდამენტალური ნაშრომი, ვამოსცა  
ილუსტრირებული მეგ სური ბოტანიკურ ბაღზე, 1914-16 წლებში მისი  
და ნ. მაქსიმოვის ხელმძღვანელობით შესრულდა რამდენიმე პროექტი,  
დაკავშირებული მთრიძლავ ექსტრაქტებთან და ფარმაკოლოგიურ  
ხედილელთან. მის მიერაა აღწერილი კავკასიაში გავრცელებული მთელი  
რივი ბოტანიკური ტაქსონები, რომელთაგან აღსანიშნავია:

*Allium artvinense* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1:  
203. 1928 (IK)

*Allium asperiflorum* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim]  
1: 205. 1928 (IK)

*Allium fominianum* Miscz. ex Grossh. & Schischk. -- Sched. Herb.  
Pl. Or. Exsicc. 22 (1924). (IK)

*Allium fominii* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1:  
203. 1928 (IK)

*Allium gmelinianum* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim]  
1: 209. 1928 (IK)

*Allium gunibicum* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1:  
208. 1928 (IK)

- Allium lenkoranicum* Miscz. -- ex Grossheim ; Grossheim, Fl. Kavkaza, i. 214 (1928), descr. ross. (IK)
- Allium ponticum* Miscz. ex Grossh. & Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 206. 1928; Vved. in Komarov, Fl. URSS, iv. 244 (1935), descr.ross. (IK)
- Allium pseudoampeloprasum* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 204. 1928 (IK)
- Allium sosnovskyanum* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 207. 1928 (IK)
- Allium talyschense* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 204. 1928 (IK)
- Allium woronowii* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 217. 1928 (IK)
- Asparagus ledebourii* Miscz. -- Věstn. Tiflissk. Bot. Sada Ann. xii. 30 (1916). (IK)
- Asparagus pallasii* Miscz. -- Věstn. Tiflissk. Bot. Sada Ann. xii. 27 (1916). (IK)
- Asphodeline tenuiflora* Miscz. -- Fl. Caucas. Crit. ii. IV. 122 (1912). (IK)
- Colchicum lenkoranicum* (Miscz.) Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 191. 1928 (IK)
- Merendera candidissima* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 190. 1928 (IK)
- Polygonatum mischtschenkoanum* Greuter -- in OPTIMA Newsl. 36: (17) (2002). (IK)
- Polygonatum obtusifolium* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 241. 1928 (IK)
- Polygonatum ovatum* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 241, in syn. 1928; Knorring in Komarov, Fl. URSS, iv. 465(1935). (IK)
- Polygonatum pseudopolyanthemum* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 241. 1928 (IK)
- Bellevalia longistyla* (Miscz.) Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 234. 1928 (IK)
- Muscari elegans* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 237. 1928 (IK)
- Muscari mutilatum* (Trautv.) Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza [Grossheim] 1: 236. 1928 (IK)
- Ornithogalum transcaucasicum* Miscz. ex Grossh. -- Fl. Kavkaza

[Grossheim] 1: 230. 1928 (IK)

*Gagea alexeenkoana* Miscz. -- *Fl. Caucas. Crit. ii. IV. 173* (1913). (IK)

*Gagea tenuissima* Miscz. -- *Fl. Caucas. Crit. ii. IV. 163* (1913). (IK)

*Lilium caucasicum* (Miscz.) Grossh. -- *Fl. Cauc., ed. 2 2: 142. 1940* (IK)

*Lilium kesselringianum* Miscz. -- *Bull. Angewandte Bot. 1914, vii. 255.* (IK)

*Narthecium caucasicum* Miscz. -- *Fl. Caucas. Crit. ii. IV. 82* (1912). (IK)

*Paeonia abchasica* Miscz. ex Grossh. -- *Fl. Kavkaza [Grossheim] 2: 92. 1930* (IK) და სხვა მრავალი.

რამდენიმე სახეობას მიძიხენკოს საპატენტაციო მისი სახელი ეწოდა:

*Asparagus misczenkoi* Iljin, 1935 [= *Asparagus neglectus* Kar. & Kir., 1841 – ზღვისპირა სატაცური]

*Rubus miszczenkoi* Juz., 1925 – მიძიხენკოს მუცალი

*Scilla mischtschenkoana* Grossh., 1927 – მიძიხენკოს ცისთვალა.

სამწესწარმო ზ. მიძიხენკოც ვერ გადაურჩა „საბჭოთა პერიოდის სისასტიკეს“; 1937 წელს დაპატიმრებული იყო ცრუ ბრალდებით, ე.წ. „კონტრრევოლუციურ ფაშისტურ ორგანიზაციაში“ გაწევრიანების გამო. 1938 წელს ვარდაცივალა ციხეში ფილტვების ანთებით. სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულ იქნა.



ზ. სვიჩი (1885-1965)

ვლადიმერ მისეილის-მე სავიჩი სანქტ-პეტერბურგის სატყეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1910 წ. მუშაობას იწყებს თბილისის ბოტანიკურ ბაღში მებაღე-ბოტანიკოსად. მის მიერ ორგანიზებული იქნა მთელი რიგი ექსპედიციები კავკასიის სხვადასხვა რეგიონში ფლორისა და მცენარეულობის შესასწავლად, მათ შორის სამკურნალო მცენარეების გამოხვედრად და ომის საჭიროებისათვის სამკურნალო ნედლეულის შესავრთვებად. ამავ პერიოდში მივლინებული იყო აშშ-ში, ინგლისში, დას. ევროპის ქვეყნებში (შვეიცარია, საფრანგეთი),



აფრიკაში - ალჟირში, ბოტანიკური ბაღებისა და საცდელი სადგურების საქმიანობის განსაცნობად. 1914 წლიდან ხელმძღვანელობს ხეხილოვანი კულტურების ხელექციისა და ჰიბრიდიზაციის საორგანიზაციო სამუშაოებს, ხოლო 1915 წლიდან მონაწილეობს ცენტრალურ ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიისა და შავი ზღვისპირეთის რაიონებში მთლილადი ნივთიერებების შემკველი მცენარეების შესწავლის, მარავების გამოკვლენასა და ნედლეულის დამზადებაში. 1916 წ.-დან ქ. მაიკოაში მთლილადი ექსტრაქტების უმსხვილესი ქარხნის პირველი დირექტორი და დამაარსებელია. 1918 წ.-დან იწყება მისი ჰედავოვიური მოღვაწეობა; ირჩევენ ბოტანიკის პროფესორად ჩრდ. კავკასიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1919 წ. მივლინებული იყო სტავროპოლში, სადაც დააფუძნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; 1924-31 წლებში იყო შორეული აღმოსავლეთის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი. ვლადივოსტოკში მან დაარსა ბოტანიკური ბაღი, ბიოლოგიური საცდელი სადგურით. სხვა ბოტანიკოსებთან ერთად შეისწავლა შორეული აღმოსავლეთის, ამურნიპირეთისა და ბაიკალისპირა მცენარეულობა.

ფართო ეროდიციის მცენიერ-მკვლევარი, ადამიანი, რომელსაც უადრესად დიდი წვლილი მიუძღოდა საბჭოთა კავშირში მცენიერების სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბებაში, კვლევითი სამცენიერო ინსტიტუტების დაარსებაში, მთელი რივი რეგიონების მცენარეული საფარის შესწავლაში და სხვ., ეოფელვარ საფუძველს მოკლებული, იაპონიის სასარგებლო მზიონაჟის ცრუ ბრალდებით დაპატიმრეს 1933 წ. ვადასახლებაში 10 წელი ვაატარა.



ლეონიდ ანტონის-ძე უტკინმა 1912 წელს დაამთავრა ტომსკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი მკურნალის სპეციალობით. 1908-16 წლებში იყო მწავალრიცხოვანი ექსპედიციების მონაწილე კავკასიასა და ამიერკავკასიაში, ტიუმენის ოლქში, მონღოლეთის ალტაიში, რუსეთის ცენტრალურ სარტყელში, ურალში, ციმბირში და სხვ. აგროფებდა მონაცემებს ხალხური მედიცინისა და სამკურნალო მცენარეების გამოყენების შესახებ.

1916-29 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების სამცენიერო განყოფილებას. 1921-29 წლებში მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის

ლ. უტკინი (1884 - 1964)

ავრონომიულ ფაკულტეტზე ჰედავოვად; იყო სამკურნალო მცენარეების სპეციალისტი-ექსპერტი ამიერკავკასიის „Внешторг“-ის, ამიერკავკასიის სამკურნალო მცენარეების კონსულტანტი.

გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის ძირითადია „Дикорастущие лекарственные растения Кавказа“, «Лекарственные растения Урала», „Народные растения, используемые как лекарственные Сибири“ (1931), სადაც განხილულია ხალხურ მედიცინაში გამოყენებული 387 სახეობა; «Растения, используемые как лекарственные Алтай и приалтайских степей» (1932), “Ботанико-географический очерк Причудлымского края”, „Краткий ботанический русско-латинский словарь“ (1962), თანაავტორია სამკურნალო მცენარეების ბიბლიოგრაფიის «Библиографии лекарственных растений». 1936 წელს ლენინგრადში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კავკასიის ვულურად მოხარდი სამკურნალო მცენარეები“. ომის შემდეგ (1947-64 წწ) ვარდაცვალებამდე მუშაობდა ჩელიაბინსკის ჰედავოვიურ უნივერსიტეტში ბოტანიკის კათედრის გამგედ.

მეცნიერული მუშაობის ჩამოყალიბების შემდეგ ბაღში (1934-1943 წლები) მსოფლიო მკვლელა, ცოცხალ მცენარეთა კოლექციების შევსება და გეოგრაფიული ნაკვეთების ფორმირება სორცელდებოდა. მეორე მსოფლიო ომის წლებში ბოტანიკურ ბაღში დიდად შეფერხდა აქტიური სამეურნეო საქმიანობა, რის გამოც კოლექციებიც მნიშვნელოვნად დაზარალდა.

ბოტანიკური ბაღი, როგორც სპეციფიური პროფილის სამეცნიერო დაწესებულება, შეუძლებელი იყო დარჩენილიყო მეცნიერული მუშაობის გარეშე. მართლაც, ბაღი 1943 წელს სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ანკლად დაარსებულ სისტემაში იქნა მოქცეული, რის შემდეგაც ბოტანიკური ბაღის ისტორიაში იწეება შემობრუნების პერიოდი. ვინაიდან, იმ საკითხების უმეტესობა, რომლებიც წინათ ბოტანიკურ ბაღში მუშავდებოდა მისგან გამოყოფილ, სათანადო სამეცნიერო დარგობრივი ორგანიზაციების კვლევის საგანი გახდა, ბოტანიკურ ბაღს მისი პროფილის შესაბამისად, მემცენარეობის განსახლებული საკითხების დამუშავება დაევალა.

აქედან დაწეებული, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ბოტანიკური ბაღის აღმავლობაში განსაკუთრებულია ვასილ გულისაშვილისა და მამია გოგოლიძეების ღვაწლი.



**ვასილ გულინსაშვილი (1903-1979)**

1944 წ.-დან 1953 წ.-მდე ბაღის დირექტორად ინიშნება პროფესორი **ვასილ გულინსაშვილი**. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ბაღში კვლავ გაიძალა სამეცნიერო მუშაობა. ჩამოყალიბდა სამეცნიერო განყოფილებები: მცენარეთა ინტროდუქციის, მეფავილეობის და დენდროლოგიის, მცენარეთა დაცვის ლაბორატორია. 1949 წლიდან განახლდა სამეცნიერო შრომათა კრებულის – „ბოტანიკური ბაღის მოამბის“ გამოცემა. დასუსტდა ბაღში ინტროდუქციონული ხეებისა და ბუჩქების სახეობრივი რაოდენობა, შეჯამდა ბაღში მცენარეთა ასწლოვანი ინტროდუქციის შედეგები, გაფართოვდა ინტროდუქციის სანერგის მუშაობა, გაშენდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და ჰიმალაის ხეებისა და ბუჩქების საკოლექციო ნაკვეთები, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტროდუქციონული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობა. ბაღის ზედა ნაწილში, თაბორის ქედის ძირში, 1947 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მხატვრულ-დეკორატიული ნაკვეთის მშენებლობას (დეკორატიონ-დიზაინერი გიორგი მანაგაძე), აღდგენილ იქნა დახურული გრუნტის ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების კოლექციები და სხვ. 1953 წლიდან 1990 წლამდე ბაღის დირექტორია პროფესორი **მამია გოგოლიშვილი**.

ამ პერიოდში ბაღი გადაიქცა ამიერკავკასიის მაშტაბით მსხვილ სამეცნიერო ცენტრად. ბაღის ტერიტორია გაიზარდა 40-მდე ჰა ფართობით და 128 ჰა-ს მიაღწია. 1964 წ. აშენდა ახალი ადმინისტრაციული და ლაბორატორიული კორპუსი, სამკურნალო მცენარეების განყოფილების ლაბორატორიული კორპუსი (1974), კრწანისის ტერიტორიაზე 100 კვ.მ

ფართობის ორანჟერეა თავისი ლაბორატორიით. 1956 წელს დასრულდა მხატვრულ-დეკორატიული ნაკვეთის, ე.წ. „პარტერის“ მშენებლობა. სრულად განახლდა ბაღის ინფრასტრუქტურა.



**მამია გოგოლაშვილი (1914-2006)**



**მ. გოგოლაშვილი ბაღის თანამშრომლებთან  
მარცხნიდან: ციციანო დადუნაშვილი, ვაღია გვერდინაძე, როზა ბიძინაშვილი, ეთერი  
გოგოლაშვილი, ნელი ხომასურაძე, ჯიშვერ კვრესელიძე (1967)**

თბილისის შემოგარენში, დეკორატიულ მცენარეთა გამოყვანისა და შესწავლის მიზნით შეიქმნა კრწანისში (ზღვ. დ. 550 მ) და სოფ. წაფკისში (ზღვ. დ. 900 მ) ექსპერიმენტალური ბაზები, რომელთაგან ერთი (კრწანისის) მოვლიანებით გადაკეთდა ევაზილოვან-დეკორატიულ მცენარეთა აგროტექნიკის განყოფილებად. დაარსდა ბიბლიოთეკა, ბაღის ისტორიისა და მისი განვითარების ამსახველი მუზეუმი (ხელმძღვანელი მ. ლორია, 1978 წ.).

მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა 5 სამეცნიერო განყოფილება: მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორია, სამკურნალო მცენარეების, იშვიათი და გადაშენებადი მცენარეების, ბუნების დაცვისა და სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილებები.

გაფართოვდა ბაღში უკვე არსებული ფიტოგეოგრაფიული განყოფილებების ტერიტორიები, შეიქმნა ახალი ფლორისტული განყოფილებები და საკოლექციო ნაკვეთები: კავკასიის მდებარეობის დეკორატიული ბალახოვანი მცენარეების (1957 წ.), სამკურნალო მცენარეების (1971 წ.), საქართველოს ფლორის იშვიათი და გადაშენებადი სახეობების (1980 წ.) და სხვ. ათჯერ გაიზარდა ბაღში ინტროდუცირებული მცენარეების რაოდენობა. მნიშვნელოვნად გაიზარდა საორნამენტო მცენარეების ფართობი და დახურულ გრუნტში მოხარდი მცენარეების სახეობრივი შემადგენლობა.



**„ფეხვითების ჯადოქარი“ მისივე მამულაშვილი სტუმრად ბოტანიკურ ბაღში.  
 ბაღის თანამშრომლების ერთი ჯგუფი მ. გოგოლიძეშვილთან ერთად,  
 მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ბაბუღია ანდრონიკაშვილი, თამარ ჩერქეზიშვილი,  
 ვერა ბელაშვილი, მამია გოგოლიძე, მისივე მამულაშვილი, მედიტა  
 ექვთიმიშვილი, ნინო კახელიძე, დავით მანჯავიძე; მერვე რიგში: გურამ აბესაძე,  
 ციცილო დაღუნაშვილი, ნიკოლოზ ბაშინჯაყელი, ნელი ზომასურიძე (1968)**

მისივე ინიციატივით დასავლეთ საქართველოში – ქუთაისში (1972 წ., ფართობი 28 ჰა) და ზუგდიდში (1970 წ., ფართობი 30 ჰა) დაარსდა და განვითარდა ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ფილიალები. მამია გოგოლიძეშვილის ხელმძღვანელობით დაცული იქნა მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. გამოიცა ბაღის სამეცნიერო შრომების კრებულის 32 ტომი და მონოგრაფიები. ბაღს დამყარებული ჰქონდა სისტემატიური ურთიერთობა როგორც საბჭოთა კავშირის (130), ისე საზღვარგარეთის (235) ბოტანიკურ ბაღებთან და ორგანიზაციებთან. თბილისის ბოტანიკური ბაღი სათავეში ედგა მ. გოგოლიძეშვილის ინიციატივით დაფუძნებულ ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭოს (უსვლელი თავმჯდომარე მ. გოგოლიძე), რომელიც აერთიანებდა 13 ბოტანიკურ დაწესებულებას, რომლის ფარგლებშიც ეოველწლიურად ეწეობოდა სამეცნიერო კონფერენციები, თათბირები, ერთობლივი კომპლექსური ექსპედიციები და სხვ. 90-იანი წლებიდან, საბჭომ შეწევითა საქმიანობა.



თბილისის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლები მინსკის ბოტანიკურ ბაღში, 1976 წ.



ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების XVI სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეები, ქ. ბათუმი, 1980 წ.

## სამკურნალო მცენარეების განყოფილების განვითარების მეორე ეტაპი თბილისის ბოტანიკურ ბაღში



**ნინო კასელაძე (1918 - 1992)**

სწორედ ბაღის დირექტორის მ. გოგოლიშვილის დიდი ძალისხმევით და წამუვანი მეცნიერ თანამშრომლის, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ნინო კასელაძის უშუალო ინიციატივით და თაოსნობით, XX საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ბოტანიკურ ბაღში იწეება მეორე ეტაპი სამკურნალო მცენარეების შესწავლის მიმართულებით. 1971 წ. უაღიბდება სამკურნალო მცენარეების სამეცნიერო განყოფილება, რაც განსხორციელდა სახელმწიფოს ფინანსური უსრუნველყოფით და უკავშირდებოდა უშუალოდ ნ. კასელაძის მეორე საქმიანობას, კანის ეპითელიარული ქსოვილის აღმდგენი ზრეზარატის შექმნას; ნინო კასელაძე მის მიერ ჩამოყალიბებულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა 1971-1990 წლებში.

**მინდინარე (2016) წელს, ბოტანიკურ ბაღში 1971 წელს აღდგენილ სამკურნალო მცენარეების განყოფილებას 45 წელი შეუსრულდა.**

*ნინო კასელაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის*



ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლას ავრძელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. ამ პერიოდში მისი სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ ცნობილი ბოტანიკოსები: დიმიტრი სოსნოვსკი და ალექსანდრე მუჟაშვილი. 1945 წელს ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ბოტანიკის ინსტიტუტის კავკასიის ფლორის ვანოფილებში უძვრობს მეცნიერ თანამშრომლად; 1948 წელს ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1957 წლიდან უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. ამ პერიოდში მისი კვლევის ობიექტებია საქართველოში ვავრცელებული გვ. იორდანსაღამის (*Paeonia*) და გვ. ზამბახის (*Iris*), სექცია „*Oncocyclus*“-ში შემავალი სახეობები.



### ქართული ზამბახი

მან შექმნა უნიკალური კოლექცია აღნიშნული გვარის წარმომადგენლების, შეისწავლა მათი ბიოეკოლოგიური თავისებურებები, ზრდა-ვანჯითარების დინამიკა ბუნებასა და კულტურის პირობებში; რაც მთავარია ჰიბრიდიზაციის გზით მიიღო მრავალი ახალი ფორმა. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართულ ზამბახს (*Iris iberica Hoffm.*), ამ მცენარეს საქართველოს სიმბოლოად მიიხსენვდა. მან შეისწავლა აღნიშნული სახეობის არეალის ევოლუცია პუნქტი, შეავროვა

უამრავი ფორმა (ამ ფორმების სრული კოლექცია შემდგომში კრწანისის ექსპერიმენტალური ბაზის საცდელ ნაკვეთზე იყო წარმოდგენილი, რომელიც საქართველოს ავტონომიის პერიოდში, 90-იან წლებში სრულად განადგურდა). ქართულ სამზახს მიუძღვნა მონაცრთფიული შრომა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურაში მის მოშენებას.

1962 წელს ნინო კახელაძე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ავრძელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მის სახელთანაა დაკავშირებული ბაღში ახალი კუთხის, ველურად მოზარდი მცენარეებისავე აკადემიური ბაღის“ შექმნა, სადაც თავმოყრილი იყო საქართველოში ბუნებრივად გავრცელებული 80-მდე სახეობის ფრიად დეკორატიული პეტროფიტები.



**ნ. კახელაძის კვლევის ობიექტი გვ. იორდასაღის (Paeonia)  
სახეობები საკოლექციო ნაკვეთზე**

1971 წლიდან იწყება ნინო კახელაძის სამეცნიერო მოღვაწეობის ახალი პერიოდი. ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე 1971-74 წწ., მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა სამკურნალო მცენარეების განყოფილების ოთხსართულიანი კორპუსი, ზარალეულურად მიმდინარეობდა ბაღის კრწანისის ექსპერიმენტალურ ბაზასზე 1000 მ<sup>2</sup> ფართობის ორანჟერეის და ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობა, რომელიც 1974 წელს

დასრულდა. ჩამოყალიბდა სამეცნიერო შტატი სხვადასხვა ვიწრო სპეციალისტების შემადგენლობით: ბოტანიკოს-ინტროდუქტორები (როზა ბიძინაშვილი, კარლო ვანელიძე, ლიანა გვენცაძე, ლილი ლიჩელი, ნათელა გიგინეიშვილი, ნელი ცხადაძე, მარგო ხორგუანი, ზეინაბ მინდაძე, ოთარ თოფურია, ნუგზარ ბათიაშვილი, დალი გონიკიშვილი), ემბრიოლოგი (ეთერი კობახიძე), ციტოლოგი (რუსლან მიქელაძე), ბიოქიმიკოსები (თამარ ვახეიძე, ასმათ ჩიკვაძე), მიკრობიოლოგი (ჯიღლა გოგოლაძე), ელექტრონული მიკროსკოპის სპეციალისტი (მაია კურნოსენკო), ეთნობოტანიკოსი (ზურაბ მაყაშვილი), ლაბორანტები (თამარიკო გვიმრაძე, ელენე კომორიძე, ლილი ჟღენტი, მარინე თოდრია, ნატა კოლხიკვა, ლევან ცნობილაძე, თემურ გარსევანიშვილი), ავრონიკები (გურამ ჩუბინიძე, ლეონა მაწიაშვილი, ციბა ხორგუანი), ფოტოგრაფი (ვეტრე მაჭავარიანი), მძლავრი (ვაჟა ვაჩიანიშვილი). ამ დროისათვის, სხვადასხვა ჰერიოდში მებაღეებად საკოლექციო ნაკვეთზე მუშაობდნენ: მარგა კირილოვა, ალექსი დაბრუნდაშვილი, ანა ზოტაშვილი, მერი ყავლაშვილი, მალხაზ ზარქუა; კრწანისის ექსპერიმენტალურ ბაზაზე: მაია სანატოვა, ნელი ცოცხალაშვილი, ელდარ ცოცხალაშვილი, გულნაზი ჟღენტი, ანატოლი ზოტაშვილი, ლიდა სიმონიანი, ედუარდ სიმონიანი.

სამუშაოები მრავალმხრივი მიმართულებით მიმდინარეობდა. „კლდე ბაღის“ საცდელ ნაკვეთზე დანიშნულ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ექსპედიციების ვხით სამკურნალო მცენარეების კოლექციის ფორმირება (ეურატორი - მეცნიერ თანამშრომელი როზა ბიძინაშვილი).

ერთდროულად წარმოებად სამკურნალო მცენარეების ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის ათვისება და დეკორატიული მნიშვნელობით გამოჩნეული სამკურნალო მცენარეებით გაფორმება (ეურატორი მეცნიერ თანამშრომელი ლიანა გვენცაძე, ავრონიკი ლ. მაწიაშვილი), კრწანისის ექსპერიმენტალურ ბაზაზე 4 ჰა-მდე ფართობზე მიმდინარეობდა საღებურ და ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენებული მცენარეების (50-მდე სახეობის) ფართო ოდენობით გამრავლება (ეურატორი მეცნიერ თანამშრომელი მარგო ხორგუანი, ავრონიკები: გურამ ჩუბინიძე, შემდგომ ციბა ხორგუანი); დასრულდა გრუნტიში სუბტროპიკული და ტროპიკული სამკურნალო მცენარეების კოლექციის ფორმირება, რომელთა რაოდენობა XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოს 100 სახეობას აღემატებოდა. ამავდროულად სოფიურის სანჯობის (ალაფ, ავაზა, სამკურნალო საღებო, ჰიტნა, რომაინი და სხვ.) სამკურნალო ნედლეული ჰერიოდულად ბარდებოდა ქ. თბილისის ფარმაცეფტულ ქარხანას.



„კლდე-ბადის“ ათვისების საწიუსი უტანი  
როზა ბიძინაშვილი, ეთერი გოგიტაშვილი, 1965 წ.



როზა ბიძინაშვილი, ნინო კახელაძე, მუბაღე მარფა კირილოვა  
სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთსზე, 1971 წ.

ზარბაზნაძის განყოფილებაში მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მიმდინარეობდა სამკურნალო თვისებებით გამოჩენილი ბოტანიკური გვარების (*Paonia, Pyrethrum, Viola, Potentilla, Inula, Ranunculus, Betonica, Thymus, Salvia, Atropa, Solanum, Hyosciamus, Datura, Scopolia, Rosmarinus, Lavandula*, გეოფიტების – *Allium, Asparagus, Convallaria, Colchicum, Dioscorea, Eremurus, Fritillaria, Iris, Galanthus, Liliium, Muscari, Ornithogalum, Polygonatum, Scilla, Tulipa* და სხვ.) სახეობების საწილის მასალის შეგროვება საქართველოს რეგიონებში და კოლექციების ფორმირება. ნინო კახელაძის ხელმძღვანელობით ხდებოდა მათი ბიოგეოლოგიური თავისებურებების შესწავლა, გამრავლების სერების დადგენა, ავროტექნიკური ღონისძიებების შემუშავება; წარმოებდა საკვლევი ობიექტების ბიოქიმიური, ფიტონციდური, ჰისტოქიმიური, ციტოლოგიური, ემბრიოლოგიური, მიკრობიოლოგიური გამოკვლევები; შედეგები ასახულია ბოტანიკური ბაღის შრომებში, ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების და სხვა საერთაშორისო კონფერენციების მასალებში. (60-მდე ნაშრომი). ექსპედიციებში ეოფნის დროს ცოცხალ მასალასთან ერთად გროვდებოდა თესვები კარპოლოგიური კოლექციისათვის და სამკურნალო მცენარეების საჭერბარეო ნიმუშები, რომელთა სახეობრივი შემადგენლობა 500-ს აღემატებოდა. —



განყოფილების თანამშრომლები ნინო კახელაძისთან ერთად სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთზე დეკორატიული აუსის მშენებლობის პროცესში (1974).



განყოფილების თანამშრომლები სამკურნალო მცენარეების ჯაბოტობატორიულ კორპუსთან (1980 წ.)

სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთზე იმ დროისათვის წარმოადგენილი იყო 200-მდე სახეობის სამკურნალო მცენარე.



ტროპიკული და სუბტროპიკული სამკურნალო მცენარეების ორანჟერა კრწანისის ექსპერიმენტალურ ბაზის ტერიტორიაზე (მარცხნიდან მარჯვნივ: უფრ. მეცნ. თან. რუსლან მიქელაძე, მეცნიერ თანამშრომელი მარგო სორგუანი, ნინო კახელაძე, 1980-იანი წლები).

განყოფილებაში მეცნიერებათა კანდიდატის სარისხის მოსაპოვებლად დაცული იქნა 3 დისერტაცია (როზა ბიძინაშვილი, ლიანა გვენცამე, ნათელა გვიგინიძე). 1986 წ. გამოქვეყნდა რ. ბიძინაშვილის მონოგრაფია „Ромашки Грузии“; ამ პერიოდში განყოფილების უფრ. მეცნ. თანამშრომელი ზურაბ მყაშვილი მუშაობდა უნიკალურ ნაშრომზე „მცენარეთა სახელდება“, იკვლევდა მცენარეთა სახელწოდებებს, მათში ჩადებულ შინაარსს და მათი წარმოშობის ისტორიას, ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხებს, წიგნი გამოქვეყნდა 1996 წ. ს. მყაშვილის კვლამს ეკუთვნის „მეფუტკრეობის ტერმინოლოგია“ (1973). მანვე, ფართო ერუდიციის, უაღრესად გამოჩენილი ჰიროგნებამ ესპერანტოს ენაზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, გ. ტაბიძისა და სხვა ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები.



**ნ. კასელაძის მიერ დარჩებული სამკურნალო მცენარეების  
საკოლექციო ნაკვეთის ერთ-ერთი მონაკვეთი**

სამკურნალო მცენარეების განყოფილების გამგის ნინო კასელაძის და ბაღის დირექტორის მამია გოგოლიშვილის, ბოტანიკური ბაღისათვის თავდადებული, ამ უაღრესად გამოჩენილი ჰიროგნების ბაღიდან წასვლა (ყოვლად უაზრო საკავშირო დადგენილებიდან გამომდინარე, რომელიც აწესებდა ასაკობრივ ცენზს სელმძღვანელი თანამდებობების პირთა მიმართ) დაემთხვა დამოუკიდებელი საქართველოს მეტად რთულ საწყის

ჰერიოდს (1990-იანი წლები). ქვეყანაში მიმდინარე რეორგანიზაციებისა და ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, უკიდურესად შემცირდა ბაღის დაფინანსება, უმუშევრობისა და გაზის გათიშვის გამო, მწიკრიდან გამოვიდა საორანჟერეო მეურნეობა, სრულად განადგურდა როგორც ბოტანიკურ ბაღში, ასევე კრწანისში არსებული დაზარალებული გრუნტის ტროპიკული მცენარეების კოლექციები; მნიშვნელოვნად დაზიანდა ბაღის კოლექციებიც; წყლის დეფიციტის გამო მრავალი სახეობის მცენარე ამოვარდა საკოლექციო ნაკვეთებიდან და სხვ. დაირღვა სამეცნიერო კავშირები სახელმწიფო ბოტანიკურ ბაღებთან, შეწყდა შრომების გამოცემა, თითქმის 3-ჯერ შემცირდა როგორც მუშების, ასევე სამეცნიერო ჰერსონალის სამატაო ერთეულები, უსახსრობის გამო შეწყდა ექსპედიციები. ამას მოჰყვა კრწანისის ნაკვეთით შემდგომი ორგანიზაციის დაინტერესება, რაც დასრულდა იქ ინტროდუცირებული ბალანოვანი მცენარეების კოლექციის სრული განადგურებით და არსებული საურდენი ბაზის დაკარგვით.

ის უდიდესი ძალისხმევა და დიდი შრომა რასაც სამკურნალო მცენარეების სამეცნიერო განყოფილების თანამშრომლები, ამ დღავლემოსილი მეცნიერის ნინო კახელაძის ხელმძღვანელობით რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ახორციელებდნენ კრწანისის ტერიტორიაზე, სამწუხაროდ კრახით დასრულდა.

ამ უაღრესად რთულ პერიოდში, 1990-1997 წლებში, ბოტანიკურ ბაღის დირექტორი იყო ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნოე რატანი**, ხოლო სამკურნალო მცენარეების განყოფილებას ხელმძღვანელობდა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს ფლორის ერთ-ერთი გამოჩენილი და საუკეთესო მცოდნე **თამაზ მარდალაიშვილი (1990-1998 წწ.)**.

ბოტანიკურ ბაღში თამაზ მარდალაიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამკურნალო ფლორის შესწავლასთან. მისი ხელმძღვანელობით განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა (რ. ბიძინაშვილი, ლ. გვენცაძე, ნ. ცხადაძე, მ. ხორეშანი, ზ. მინდაძე) მიერ დამუშავდა საბიუჯეტო თემები: 1. „თბილისის შემოგარენის სამკურნალო მცენარეთა გენოფონდის კრიტიკული შესწავლა“ (1991-95 წწ.); 2. „თბილისის შემოგარენის იშვიათ, გადაშენებულ სამკურნალო და დეკორატიულ მცენარეთა დაცვის და აღწარმოების ღონისძიებების შემუშავება“ (1996-98). კვლევა მოიცავდა აღმ. საქართველოსა და თბილისის მიდამოების სამკურნალო მცენარეების ინვენტარიზაციას, ტაქსონომიას, მათი ჰაბიტატებისა და რეოდენობრივი მხარის დადგენას, ჰერსპექტიული სახეობების ინტროდუქციას.





თამაზ მარდალაშვილი  
(1940-2001)

თამაზი იყო ფართო პროფილის ბოტანიკოსი, ნიკო კეცხოველის ღირსეული მოსწავლე, საქართველოს ფლორისა და მცენარეულობის უბადლო მცოდნე. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს ვეგეტაციის ფლორისა და მცენარეულობის შესწავლის საქმეში, მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს ფლორაში უცნობი სახეობების: *Astragalus aureus*, *Onobrychis cornuta*, *Gypsophila glandulosa*, *Alyssoides graeca*, *Psephellus buschiorum*, *Polygala sibirica*, *Amygdalus spinosissima*-ს გამოვლენა.

მის მიერაა აღწერილი ახალი სახეობები და შიდა სახეობრივი ტაქსონები, კერძოდ:

*Barbarea ketzkhovelii* T. Mardaleischvili, *Galium praemontanum* T. Mardaleischvili (*Galium praemontanum* var. *armasica* T. Mardaleischvili), *Centaurea svanetica* T. Mardaleischvili, *Veronica tumadzhanovii* T. Mardaleischvili.

თ. მარდალაშვილმა საქართველოში პირველმა აღწერა ხავსიანი წიფლანარი (*Fagetum muscosum*), რომელსაც დიავნოსტიკური როლი ენიჭება წიფლანარის სუქცესიის საკითხებში. საინტერესო გამოკვლევები აქვს ანთროპოგენურ სუქცესიებზე; არავკის აუზში და ზემო სვანეთში გამოავლინა პოტენციური სამეწურე კერები და დასახა ფიტომელიორაციული ღონისძიებები.

30 წელზე მეტი მოახმარა კავკასიონის კლდე-ნაშაღლორლიანთა მცენარეულობის, ჰეტროფიტების ბოტანიკურ-ეკოლოგიურ გამოკვლევას, გამოავლინა მნიშვნელოვანი სიასხეობები; აღნიშნული ფილოგენეტიკური ჯგუფის განხილვისას მრავალი ახალი სუქციები და მწვრივები გამოაჰლა და მთელი რივი სახეობებისათვის დაადგინა ნათესაური კავშირები. ტრადიციულ კირქვიანებთან ერთად მან შეისწავლა აგრეთვე მერველოვანი, ანბიდური და კრისტალური თიხაფიქლებისა და პორფირიტების ფლორა; ჰეტროფიტების დიდ ნაწილს იგი განიხილა და როგორც კლიმატის, კლიენაშაღლების და ნიადაგის ინდიკატორს; გამოთქვა მოსახრება, რომ ჰეტროფიტებში ენემიზმის მავისტრალური ხაზია, მცენარეთა სპეციალიზაცია მოახდინა კონკრეტულ ლითოლოგიური ტიპისა და დედაქანის ეკოლოგიური სტაციის მიხედვით, რაც არუალის

ლიმიტირებასთან ერთად გამოიხატება სახეობის ზედა ტაქსონების მონოტიპურობისა და მონოლითოფილიაში. ჩვენდა სამწუხაროდ, თ. მარდალეიშვილმა მძიმე ავადმყოფობის გამო, ვერ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ეს უნიკალური ნაშრომი დღემდე გამოუცემელია. ავტორია 50-მდე სამეცნიერო შრომის, რომლებიც გამოქვეყნდა ადგილობრივ და საზღვარგარეთის გამოცემებში; სოვ იერთ მათგანზე იყო გამოხმაურებები იანზონიდან, ვერმანიიდან, ჩეხოსლოვაკიასა და ეგვიპტიდან.



**სამკურნალო მცენარეების განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა ერთი ჯგუფი; მარცხნიდან: ნელი ცხადაძე, ნონა ანთაძე, ლიანა გვენცაძე, თამაზ მარდალეიშვილი, როზა ბიძინაშვილი, ზეინაბ მინდაძე (1997 წ.)**

იყო ხელმძღვანელი საგრანტო პროექტების: 1. Cuna Georgica-ს (საქართველოს კულტურისა და ბუნების დაცვის საზოგადოება) „აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები და მათი კულტივირების ჰერსპექტივები“ შემსრულებლები: რ. ბიძინაშვილი, ლ. გვენცაძე, ნ. ცხადაძე, ზ. მინდაძე (1997-1998).

2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გრანტის 18.3 „თბილისის შემოგარენის იშვიათ, გადაშენებად სამკურნალო და დეკორატიულ მცენარეთა დაცვის და აღწარმოების ღონისძიებების შემუშავება“ შემსრულებლები: რ. ბიძინაშვილი, ლ. გვენცაძე, ნ. ცხადაძე, 60

ზ. მინდაძე, ე. გოგიტაშვილი, მ. გვრიტიშვილი (1997-1998 წ.წ.; მისი ავადმყოფობის გამო, 1998-99 წლებში პროექტს ხელმძღვანელობდა რ. ბიძინაშვილი).

აღნიშნულ პერიოდში მთავარი უზრუნველყოფა დაეთმო საკოლექციო ნაკვეთისა და ლაბორატორიული კორპუსის მიმდებარე მონაკვეთების მოვლა-პატრონობას, არსებული მცენარეების კოლექციის შევსებას (ამ დროისათვის მათმა რაოდენობამ 250 სახეობას მიაღწია).

1998-2000 წლებში, თამაზ მარდალეიშვილის შიშივე ავადმყოფობის გამო, განყოფილების გამგის მოვალეობას ასრულებდა როზა ბიძინაშვილი.



**ჯიმშერ კერესელიძე თანამშრომლებთან ერთად: ციცინო დადუნაშვილი, ვაჟია გვრემინაკი, ეთერი გოგიტაშვილი, როზა ბიძინაშვილი**

2000-2006 წლებში ბაღის დირექტორია **ჯიმშერ კერესელიძე**. მისი უშუალო დამსახურებაა საერთაშორისო-საქვეყნობრივი ფონდის „ქართუს“ მოძიება, რომელმაც ბაღი სტაგნაციისა და კრიზისული მდგომარეობიდან გამოიყვანა. დაიწყო მასშტაბური სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით. დიდი უზრუნველყოფა დაეთმო ბაღის ინფრა-სტრუქტურის გაუმჯობესებას: აღდგა ლუღვთახევისა და ბაღის სხვა საურდენი კედლები და ყორეები, გარემონტდა ჩანჩქერის თავზე არსებული თაღოვანი სიდი, ბაღის

ისტორიულ ნაწილში მდებარე „თამარის სიდი“, კეთილმოწყობილი ვახუშტის და ბილიკების, დამთავრდა 1000 კვმ ფართობის ორანჟერის შემინვა, აღდგა ვახუშტის, კახიკაღური რემონტი ჩაუტარდა ადმინისტრაციული კორპუსის, მუზეუმის შენობას, სასტუმროს და სხვა ობიექტებს. მდინარე მტკვარზე აშენდა წყალსაქანი, რითიც სადღეისოდ ბაღი უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამშრომელთა რაოდენობა და მათი ხელფასები, განსაკუთრებით მებაღეების.

ფაქტიურად ნულიდან დაიწყო სხვადასხვა კოლექციების ფორმირება: მევენახეობის საკოლექციო ნაკვეთზე დეკორატიულ-ბალანსოვანი მცენარეების (გამგე ლიანა ვვენცაძე), დახურული გროუნტის ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების, სადაც ამჟამად 900-მდე სახეობის მცენარეა წარმოდგენილი (გამგე ნანა უუბანეიშვილი); საკოლექციო ნაკვეთებზე და გეოგრაფიულ განყოფილებებში დაირგა ათასობით ხე-ბუჩქი. კოლექციების გამდიდრების მიზნით უოველწლიურად ტარდებოდა ექსპედიციები საქართველოს რეგიონებში, რამაც ხელი შეუწყო როგორც სამკურნალო მცენარეების ასევე ბაღის სხვა კოლექციების გაზრდას. ბაღის სხვადასხვა ნაწილში მოყვით ახალი დეკორატიული კუთხეები (დეკორატიულ-დისაინერი ჯონი გიორგბერიძე).

აღდგა ბაღის სამეცნიერო შრომათა კრებული, რომელიც მას შემდეგ უოველწლიურად გამოდის. ბოტანიკური ბაღი დაუბრუნდა მისთვის ჩვეულ სამუშაო რიტმს.



როსა ბიბინაშვილი, კუმისის ტბა, (2013 წ.)

ამ პერიოდში (2000 წ.) ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე რესტრუქტურის საცდასთან დაკავშირებით, სამკურნალო მცენარეების, მეფევაილეობისა და ლანდშაფტური დაგეგმარების განყოფილებების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო განყოფილება, სადაც შემო აღნიშნული განყოფილებები სექტორების სახით იქნა შენარჩუნებული. გაერთიანებული განყოფილებისა და სამკურნალო მცენარეების სექტორის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა ბაღის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი როზა ბიძინაშვილი.

*როზა ბიძინაშვილი თბილისის ბოტანიკურ ბაღში მუშაობს 1961 წლიდან, ჯერ მუშად, შემდეგ უფროს ლაბორანტად, უძცროს მეცნიერ მუშაკად; საკვალიფიკაციო დისერტაციის დაცვის შემდეგ, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1986 წლიდან 2000 წ-მდე წამყვანი მეცნიერ თანამშრომელია, 2000-2006 წლებში მეფევაილეობის, სამკურნალო მცენარეების და ლანდშაფტური დაგეგმარების განყოფილების გამკვე; 2006-2016 წლებში სამკურნალო მცენარეების სექტორის ხელმძღვანელ-კურატორი. არის 100-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორისაა 20-მდე მონოგრაფია და ზოპულარული-შემეცნებითი წიგნები სამკურნალო მცენარეებზე. მისი ხელმძღვანელობით შესწავლილ იქნა თბილისის მიდამოების და ვარდაბნის რ-ის სამკურნალო ფლორა, კვლევის შედეგები ასახულია მონოგრაფიასა და შრომებში. ამ პერიოდში ვაიზარდა სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთის ფართობი 1,5 ჰა-დან 3 ჰა-მდე, ხოლო კოლექციის რაოდენობამ 460 სახეობას გადააჭარბა.*

სამკურნალო მცენარეების სექტორში 2000-2005 წლებში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს როზა ბიძინაშვილის ხელმძღვანელობით ასრულებდნენ: უფრ. მეცნ. თანამშრომელი ნონა ანთაძე, მეცნიერ თანამშრომლები - ნელი ცხადაძე, ზეინაბ მინდაძე, მარგო ხოგუანი. განყოფილება შემოთ აღნიშნული სახით შენარჩუნდა 2006 წლამდე. შემდგომ, მანანა ელბაქიძის დირექტორობის პერიოდში ხდება ახალი გადანაწილება, კავკასიის იშვიათი სახეობების განყოფილების (ვამკვე ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ლამარა ასიეშვილი) და სამკურნალო მცენარეების სექტორის გაერთიანება.

აღნიშნული სახით სამკურნალო მცენარეების სექტორი დღემდე (2016 წ.) შენარჩუნებული და ბაღის ხელმძღვანელების მიერ სხვა ცვლილებები არ განხორციელებულა, თუმცა ამ პერიოდში ბოტანიკურ ბაღში აღინიშნება დირექტორების სშირი ცვლა, რაც არც თუ სასარბიელოა. კერძოდ, სხვადასხვა დროით ბოტანიკურ ბაღს ხელმძღვანელებდნენ:

2006. VI. – 2007. VIII - მანანა ელბაქიძე; 2007. VIII-XII - თემურ ნაკაიძე; 2008 წლის დასაწყისში მოხდა ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის გაერთიანება, I-II თვეებში გაერთიანებული ორგანიზაციის დირექტორად ინიშნება სასა გამცემლიძე; 2008.II – 2011.VIII წლებში მას ცვლის შალვა (ნუკრი) სინარულიძე, ამ პერიოდში ბოტანიკური ბაღი და ბოტანიკის ინსტიტუტი ილიას უნივერსიტეტის შემადგენლობაშია; 2011 წლის აგვისტოში, ახალი რეორგანიზაციის შედეგად, ბაღი კვლავ გამოეყო ბოტანიკის ინსტიტუტს და დაექვემდებარა ქ. თბილისის მერიას. 2011.VIII – 2014. X. წლებში ბაღის დირექტორია მათა თავართქილაძე; 2014. X -2015. X - ნინო გოცაძე; 2015. X -დან დღემდე თამაზ დარჩიძე.

2006-2016 წლებში სამეცნიერო-პრაქტიკულ სამუშაოებს სექტორის ხელმძღვანელ როზა ბიძინაშვილთან ერთად ანსორცეილებს ორი მეცნიერ თანამშრომელი, ბოტანიკოს-ინტროდუქტორები: **ნელი ცხადაძე** (სამკურნალო მცენარეების განყოფილებაში მუშაობს 1974 წ-დან, აქტიურ მონაწილეობას იღებდა კრწანისის ექსპერიმენტალურ ბაზაში დახურული და ღია გრუნტის კოლექციების შექმნაში, შესაბამისად მონაწილეობდა ყველა ექსპედიციაში. საკვალიფიკაციო თემატიკიდან გამომდინარე, კრწანისში მან შექმნა ძალუყურმენასებრთა ოჯახის სამკურნალო წარმომადგენლების უნიკალური კოლექცია; დაადგინა თითოეული სახეობის ადგილსამყოფელი, გავრცელების ჰუნქტები, მათი რაოდენობრივი მხარე, გამოავლინა იშვიათი სახეობები, შეიმუშავა მათი დაცვის ღონისძიებები, შეისწავლა ინტროდუცირებული მცენარეების ბიოეკოლოგიური თავისებურებები, გამრავლების ხერხები, ზოგიერთ სახეობაზე შეიმუშავა ავრლონისძიებები. დიდი წვლილი მიუძღვის ბოტანიკურ ბაღში სამკურნალო მცენარეების კოლექციის ფორმირებასა და მის მოვლა-პატრონობაში. არის 40-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის 2 მონოგრაფიის);

**სატია საიკაშვილი** (სამკურნალო მცენარეების სექტორში მუშაობს 2004 წლიდან; სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პარალელურად, აქტიურად მონაწილეობს სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთზე მიმდინარე პრაქტიკულ სამუშაოებში, კოლექციის გაძლიერებაში, არის 18-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის 2 მონოგრაფიის; მის საკვალიფიკაციო თემას წარმოადგენდა ეასპეგის რ-ის (სევის) სამკურნალო მცენარეების ფლორისტული შემადგენლობის დადგენა, მათ შორის ენდემური და იშვიათი სახეობების აღრიცხვა და ხალხში არსებული სამკურნალო რეცეპტების გამოვლენა; რასაც შესანიშნავად გაართვა თავი).

საბალო სამუშაოებს საკოლექციო ნაკვეთზე, დღიდან დაარსებისა 2013 წლამდე (გარდაცვალებამდე), ასრულებდა მებაღე ალე დაბრუნდაშვილი, მალაღკავალიფიცირი სპეციალისტი, თავის საქმის მცოდნე, მალაღი ზასუსისმკვებლობით გამორჩეული, კეთილშობილი ადამიანი. ზემო აღნიშნულ ზერიოდში, სხვადასხვა დროს, მასთან ერთად საქმიანობდნენ: ნელი ნატროშვილი, გულო კახუაშვილი, უფრო მოგვიანებით ვეფსია მუჩიაშვილი. 2014-15 წლებში მათ ცვლის დავით გოგუელიძე, ვერიკო ხარატიშვილი, ნიკა გელაშვილი, 2016 წ.-დან ვრიგორი აკოპოვი.

ადრეული ზერიოდების მსგავსად, გრძელდება სამკურნალო მცენარეების კვლევა, საქართველოს რეგიონებში მიხნობრივი სავლეუ გასვლები, საქართველოს ფლორის ოფიცინალურ, ტრადიციულ და ემპირიულ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარეების შეგროვება, მათი არეალებებისა და ძირითადი ადვილსამყოფლების დადგენა, შესაბამისად კოლექციის სახეობრივი შემადგენლობის გაზრდა; იშვიათი და გაქრობის საშიშროების წინაშე მდგომი სახეობების გამოვლენა, მათი ex situ კონსერვაცია თბილისის ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთზე, კვლევის ობიექტად შერჩეული ინტროდუცირებული სამიხნე სახეობების ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა, გამრავლების ხერხების დადგენა, ავროლანისმძივების შემუშავება; ჰერბარიუმისა და კარპოლოგიური კოლექციების განახლება და ა. შ. საქართველოს რეგიონებში მიხნობრივი გასვლების შედეგად ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოტანიკურ ბაღში არსებული სამკურნალო მცენარეების კოლექცია, სადღეისოდ მათი რაოდენობა 460 სახეობას აღემატება.



მეცნიერ თანამშრომლები ნ.ცხადაძე, ს. ხაკიაშვილი, შუენაბაღას ქედი, 2015 წ.

2000-2015 წლებში სექტორში როზა ბიძინაშვილის ხელმძღვანელობით დამუშავდა 3 საბიუჯეტო პროექტი: 1. „თბილისის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული და ბუნებრივად მოხარდი სამკურნალო მცენარეების ზრდა-განვითარების თავისებურებათა შესწავლა“; შემსრულებლები ნ. ანთაძე, ნ. ცხადაძე, ზ. მინდაძე, მ. სორგუანი (2001-2005).

2. „ქართულ ტრადიციულ მედიცინაში გამოყენებული ზოგიერთი მცენარის ბიოეკოლოგიური თავისებურებები და მათი კულტივირების ზერსპექტივები“; შემსრულებლები: ნ. ცხადაძე, ხ. ხაიკაშვილი (2006-2010). პროექტის ფარგლებში ჩატარებული ბოტანიკური გამოკვლევების შედეგად ბოტანიკურ ბაღში შექმნილია ინტროდუცირებული ზოგადი მცენარეები მკვლევარ ქართულ საფსურ მედიცინაში გამოყენებული 30-მდე სახეობის (*Asphodeline lutea*, *Colchicum speciosum*, *Convallaria transcaucasica*, *Dioscorea caucasica*, *Eremurus spectabilis*, *Lilium szovitsianum*, *Atropa caucasica*, *Mentha longifolia*, *Salvia sclarea*, *S. verticillata*, *Saponaria officinalis*, *Dictamnus caucasicus*, *Glaucium flavum*, *Helleborus caucasicus*, *H. abchasicus* და სხვ.).

3. „გარდაბნის რაიონის სამკურნალო ფლორის სახეობრივი შემადგენლობის დადგენა, კრიტიკული საფრთხის წინაშე მდგომი სახეობების გამოვლენა და მათი ინტროდუქცია“.  
შემსრულებლები: რ. ბიძინაშვილი, ნ. ცხადაძე, ხ. ხაიკაშვილი (2011-2015წწ.).



სამკურნალო მცენარეების სექტორის თანამშრომლები (ხ. ხაიკაშვილი, დ. გოგუელიძე, ნ. გეგაშვილი, რ. ბიძინაშვილი, ნ. ცხადაძე, მძღვანელი ა. სორგუანი) მიზნობრივი საფეხე გასვლა საგურამოს ქედზე (ზედაზენი) 2015 წ.



ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე აღირიცხა ტრადიციულ და ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარეების შემადგენლობა, რომელიც მოიცავს 430- მდე სახეობას, მათ შორის ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია -71 სახეობა; ერთ ან ორწლოვანი -11; ორწლოვანი - 14; მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეები - 262; ბუჩქები - 36; ხე ან ბუჩქი - 9; ხე მცენარეები - 26 სახეობა. მათ შორის საქართველოს ენდემია - 8 სახეობა, კავკასიის ენდემი 29 სახეობაა. საფრთხეების დონის რაოდენობრივი შეფასების საფუძველზე შედგა ანთროპოგენური სტრესის ქვეშ მყოფი, ბუნებრივ საფრთხეებს დაქვემდებარებულ მცენარეთა ნუსხა, მოიცავს 33 ოჯახის 50-ზე მეტ სახეობას, რომლებიც ამ რეგიონში იშვიათად გვხვდება, წარმოდგენილია ერთეული ინდივიდების ან მცირერიცხოვანი ჰემაგრაფების სახით და საქართველოს „წითელი წიგნის“ ობიექტებს მიეკუთვნებიან.

2008-2010 წლებში საქართველოს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით, როზა ბიძინაშვილის ხელმძღვანელობით, შესრულდა საგრანტო პროექტი: (გრანტი GNSF ST 07/5-203) „თბილისის შემოგარენის სამკურნალო ფლორის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და მისი დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებები“. ძირითადი შემსრულებლები: მანანა ელბაქიძე, ნელი ცხადაძე, სატია ხაიკაშვილი.

შესწავლილ იქნა თბილისის მიდამოების სამკურნალო ფლორა, მოხდა აღნიშნულ რეგიონში სამკურნალო მცენარეების სრული ინვენტარიზაცია, გამოვლინდა 460-მდე სახეობის, მათ შორის იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სამკურნალო მცენარეები. განსორციელდა ბევრი მათგანის ex situ კონსერვაცია ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების საცდელ-საკოლექციო ნაკვეთზე. კვლევის შედეგები ასახულია მონოგრაფიულ შრომაში „თბილისის მიდამოების სამკურნალო მცენარეები“.

2000-2016 წლებში საბიოჟეოტო და საგრანტო პროექტების კვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომაში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (70-მდე სტატია). მათ შორისაა 20-მდე მონოგრაფია და შექმნილია ჰემაგრაფული წიგნები სამკურნალო მცენარეებზე.

სექტორის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო საგრანტო პროექტებში, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში (კონფერენციებში).

ამ ეტაპზე (2016-2020), სამკურნალო მცენარეების სექტორის მეცნიერ

თანამშრომელთა კვლევის ობიექტს წარმოადგენს საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალის სამკურნალო მცენარეების მრავალფეროვნების შესწავლა, გენეტიკური რესურსების თანამედროვე მდგომარეობის დადგენა, იმ იშვიათი და საფრთხეში მყოფი სახეობების გამოვლენა, რომლებიც განიცდიან ანთროპოგენურ ან ბუნებრივი საშიშროების ზეგავლენას. შესაბამისად, მალაღი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტაქსონთა ინტროდუქციას, ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა, გამრავლების ხერხების შემუშავება და სარეზერვო ფონდის შექმნა.



საგურამოს ქედი

## სამკურნალო მცენარეების კოლექცია საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კოლექციები მოიცავს კავკასიისა და სხვა რეგიონების ფლორის 3500-ზე მეტ სახეობას და შიდა სახეობრივ ტაქსონს, რასაც ემატება ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ბუნებრივად მოხარდი მცენარეები, რომელთა რაოდენობა 700 სახეობას აღემატება.

ბოტანიკური ბაღის კოლექციები მეცნიერ-მკვლევართათვის ეოვლუციის წარმადგენდენ კვლევის არსებით საფუძველს და ჩვენს დროშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბოტანიკური და ეკოლოგიური გამოკვლევებისათვის. უფრო მეტიც, დღეს ისინი იღებენ თავის თავზე ბუნებისა და სახეობების დაცვის ამოცანებს და სულ უფრო მეტად ერთვებიან საზოგადოებასთან საგანმანათლებლო საქმიანობაში. დღევანდელი ჰარმონიზაციით (XXI ს-ის დასაწყისი) ბოტანიკური ბაღები ინარჩუნებენ ტრადიციულ საქმიანობას, კერძოდ: ცოცხალი მცენარეების კოლექციის ფორმირება ღია და დახურულ გრუნტში, მათი ტაქსონომიური იდენტიფიკაცია და სისტემატიკური შესწავლა, ჰერბარიუმის შეგროვება, მცენარეთა ინტროდუქცია-ადაპტაციის მიმართულებით კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მცენარეთა მავნებელ-დაზარებების გამოვლენა და ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება, კარპოლოგიური კოლექციების შექმნა, მცენარეთა გამრავლების ხერხებისა და აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავება და სხვ. ზემო აღნიშნულს ემატება ახალი დატვირთვა, რეგიონალური ფლორის დაცვა.

აქედან გამომდინარე, ჩვენს ორგანიზაციაში, ბოტანიკური ბაღების საერთაშორისო საბჭოს (BGGI, 2000) მიერ ბოტანიკური ბაღებისადმი წარდგენილი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს შემდგომი სამუშაოები: კოლექციების აგება სამეცნიერო საფუძველზე; მცენარეული კოლექციების სანგრძლივი ვადით შენარჩუნება; მცენარეთა *in situ* (ბუნებრივი) და *ex situ* (ხელოვნური) კონსერვაცია (რაც ითვალისწინებს რეგიონალური ფლორის, განსაკუთრებით გადაქმენებადი სახეობების მრავალფეროვნების შენარჩუნებას); მეცნიერული კვლევების ჩატარება ცოცხალ მცენარეებზე დაკვირვებებით; თესვების ან სხვა მასალებისა და ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა მანროფილებელ ორგანიზაციებთან; თანამშრომლობა სამამულო და უცხოურ ბოტანიკურ ბაღებთან ერთობლივ სამეცნიერო პროექტებში *ex situ* შენარჩუნების მეთოდებისა და პრაქტიკული მიდგომების შემუშავებაში; ენდემური,

იშვიათი და გადაშენებადი სახეობების სასწავლო ექსპოზიციების შექმნა ბიომრავალფეროვნების წინაშე წარმოქმნილი საშიშროების სერიოზულობის დემონსტრაციისათვის და ბოტანიკური ბაღის როლის საჩვენებლად მცენარეთა შენარჩუნებაში; მცენარეთა მრავალფეროვნების დაცვის ზოპულანრიხაცია საგანმანათლებლო პროგრამების სამუალებით; მცენარეთა კომპეტენტური ეტიკეტირება; კოლექციების შესაბამისი დოკუმენტირება; დამთვალეფრებლებისათვის ღია კარის მოწეობა.

ამდენად, სათანადო კოლექციების შექმნა და მათი სახეობრივი შემადგენლობის გაზრდა სამკურნალო მცენარეების სექტორის თანამშრომელთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და კვლევების ძირითადი მიმართულებაა.

სამკურნალო მცენარეების საცდელ-საკოლექციო ნაკვეთი დაარსდა 1971 წელს ბაღის წამყვანი მეცნიერ თანამშრომლის ნინო კახელაძის მიერ, ღლიდან დაარსებისას მას კურატორობს მეცნიერ თანამშრომელი როზა ბიძინაშვილი. მდებარეობს წავკისის ხეობის მარჯვენა მხარეს შემდეგ კოორდინატებზე: 38 T 0483580, UTM 4614807, h – 516 m; 38 T 0483520, UTM 4614758, h-538 m, 38 T 0483536 UTM 4614749 h-541 m; ამჟამად, ნაკვეთის საერთო ფართობი 3 ჰა-ს შეადგენს. ხასიათდება საკმაოდ რთული რელიეფით, აღინიშნება სხვადასხვა ექსპოზიციის როგორც ციფაბო ფერდობები, ისე ნაკლებ დამრეცი ადგილები, შევაკებები და ტერასები, მოყვნილია დიდი ზომის ლოდებით, რაც მას მაღალდეკორატიული ბუნებრივი კლდე-ბაღის იერს აძლევს. ნიადაგი მძიმეა, უმეტეს შემთხვევაში მცირე სიღრმის, ზრიბიტიული, ძლიერ ხირხატანი, უავისფერი შეფერილობის, მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის, ჰუმუსიანობა დაბალია - 1,5-2 %. ზოგან დედაქანზე ნიადაგი საერთოდ არ გვხვდება და შიშველი კედლებიდა ჩანს. შედარებით ღრმა მიწის საფარი ხელაფურად შექმნილ თარვებზე.

კოლექცია უმთავრესად შედგება საქართველოს ფლორის სამკურნალო მცენარეებისაგან, თუმცა თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია სხვა ფლორისტული ოლქების ის სამკურნალო მცენარეებიც, რომლებიც მესუელია სხვადასხვა ქვეყნის ფარმაკოპეიაში, კერძოდ: *Ailanthus altissima*, *Bergenia crassifolia*, *Cupressus sempervirens*, *Juniperus virginiana*, *Ricinus communis*, *Cedrus deodara*, *Cercis siliquastrum*, *Robinia pseudoacacia*, *Spartium junceum*, *Hypericum olympicum*, *Iris germanica*, *Hyssopus officinalis*, *Laurus nobilis*, *Jucca gloriosa*, *Lilium candidum*, *Hybiscus syriacus*, *Fraxinus ornus*, *Forsythia suspensa*, *Olea europaea*, *Mentha piperita*, *Thymus vulgare*,

*Syringa vulgaris, Papaver somniferum, Spiraea trilobata, Ruta graveolens, Lavandula angustifolia, L. officinalis, Rosmarinus officinalis, Salvia officinalis, Vinca minor, Mahonia aquifolium, Vitex agnus-castus* და სხვ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, აჭარა, მესხეთ-ჯავახეთი, ქართლ-კახეთი) ჩატარებული ექსპედიციებისა და თბილისის მიდამოებში (არმაზი, ბეთანია, ბეგრეთი, დიდმის წყლის სეობა, დიდმის დიდგორი, ვაშლიჯვარი, ვერეს სეობა, ზედაზენი, თელეთისა და შავნაბადის ქედები, იალღუჯი, კარსანი, კიკეთი, კოჯორი, კუმისის ტბა, ლოჭინის ხევი, მართაზი, მარტყოფი, მამკოდა, მცხეთა, ნატანტარი, ნარდავანთ კარი, ნორიოს სამონასტრო კომპლექსი, საბადური, საგურამოს ქედი, საწიკეპელა, ტახანძელა, უძოს მთა, ხეკორძელას სეობა, შინდისი, შიომღვიმე, ცხვარიჭამია, წაუკისი, წუნეთი, წოდორეთი, ჭილის ტბა და სხვ.) ერთდღიანი მიზნობრივი სავლეუ გასვლების შედეგად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოტანიკურ ბაღში არსებული სამკურნალო მცენარეების კოლექცია. ამჟამად, მათი რაოდენობა 460 სახეობას აღემატება, რომლებიც მიეკუთვნებიან 96 ბოტანიკურ ოჯახსა და 290-მდე გვარს. მათ შორის აღინიშნება ერთწლოვანი და ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეები, რომელთა რიცხვი წლების მიხედვით ვარირებს 20-35-მდე, მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეები 335 სახეობითაა წარმოდგენილი, ხე-ბუჩქები – 100-მდე სახეობით.



როზა ბიძინაშვილი, დიდმის დიდგორი, 2013.

კოლექციაში აღინიშნება **საქართველოს სსრ წითელ წიგნში** (1982) შეტანილი მცენარეები: *Althaea officinalis*, *Amygdalus georgica*, *Berberis iberica*, *Celtis caucasica*, *Crataegus pontica*, *Dioscorea caucasica*, *Globularia trichosantha*, *Gymnospermium smirnowii*, *Hippophae rhamnoides*, *Iris iberica*, *Iuglans regia*, *Laurus nobilis*, *Paeonia carthalinica*, *P. lagodechiana*, *P. majko*, *P. mlokosewitschii*, *P. wittmaniana*, *Pistacia mutica*, *Punica granatum*, *Salvia garedji*, *Scabiosa olgae*, *Taxus baccata*, *Tulipa biebersteiniana* და სხვ.

**საქართველოს წითელ ნუსხაში** (2006) IUCN-ის კრიტერიუმების შესაბამისად სხვადასხვა სტატუსით შეტანილი სახეობებიდან საკოლექციო ნაკვეთზე იხრდება: *Amygdalus georgica*, *Crataegus pontica*, *Iuglans regia*, *Laurus nobilis*, *Pistacia mutica*, *Taxus baccata* და სხვ.

**სსრ კავშირის წითელ წიგნში** (1978) შეტანილი ობიექტებიდან აღსანიშნავია: *Atropa caucasica*, *Danae racemosa*, *Digitalis lanata*, *Dioscorea caucasica*, *Glaucium flavum*, *Globularia trichosantha*, *Paeonia mlokosewitschii*, *Punica granatum*, *Ruscus colchicus*, *Scabiosa olgae*, *Taxus baccata* და სხვ.

**საქართველოს ენდემები:** *Amygdalus georgica*, *Helleborus abchasicus*, *Gymnospermium smirnowii*, *Cerastium argenteum*, *Cyclamen colchicum*, *Galanthus kemulariae*, *G. woronowii*, *Iris iberica*, *Muscari alpanicum*, *Paeonia wittmaniana*, *P. mlokosewitschii*, *P. majko*, *P. ruprechtiana*, *P. carthalinica*, *Pulsatilla georgica*, *Psephellus carthalinicus*, *Symphytum grandiflorum*, *Swida armasica*, *Thymus tiflisiensis*, *T. ladjanuricus* და სხვ.

**კავკასიის ენდემები:** *Atropa caucasica*, *Helleborus caucasicus*, *Ficaria ledebourii*, *Berberis iberica*, *Galanthus alpinus*, *G. lagodechianus*, *G. platyphyllus*, *Iris carthaliniae*, *Isatis iberica*, *Ornithogalum magnum*, *Paeonia caucasica*, *P. lagodechiana*, *Pyrethrum carneum*, *coccineum*, *Primula woronowii*, *P. abchasicus*, *P. ruprechtii*, *Pimpinella aromatica*, *Psephellus barbeyi*, *Salvia garedji*, *Salvia daghestanica*, *Symphytum caucasicum*, *Scabiosa olgae*, *Taraxacum praticola*, *Teucrium nuchense*, *Vicia grossheimii* და სხვ.

**საკოლექციო ნაკვეთზე მოზარდი რელიქტებიდან აღსანიშნავია:** *Acer velutinum*, *Arum albispatum*, *Corylus avellana*, *Carpinus caucasica*, *Convallaria transcaucasica*, *Dioscorea caucasica*, *Eremurus spectabilis*, *Iuglans regia*, *Ficus carica*, *Punica*

*granatum, Pinus eldarica, Paeonia tenuifolia, Ruscus ponticus, Spiraea hypericifolia, Taxus baccata, Quercus castaneifolia* და სხვ.

კოლექციაში წარმოდგენილი მცენარეები სხვადასხვა მცენარეულ დაჯგუფებებს მიეკუთვნებიან. აქ თავმოყრილია ნახევრად უდაბნოს ქსეროფიტული ელემენტები: *Artemisia lerchiana, A. absinthium, A. scoparia, Allium rotundum, A. atroviolaceum, Achillea biebersteinii, Gagea chlorantha, Daucus carota, Erodium cicutarium, Euphorbia helioscopia, Lepidium campestre, Lycopsis orientalis* და სხვ.

საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი სტეპისა და მდელოს მცენარეები: *Agrimonia eupatoria, Achillea neilreichii, A. setacea, Asparagus officinalis, Crocus speciosus, Galium verum, Echium vulgare, Filipendula vulgaris, Hypericum perforatum, Origanum vulgare, Iris pumila, I. iberica, I. reticulata, Paeonia tenuifolia, Potentilla argentea, Pyrethrum corymbosum, Psephellus carthalinicus, Peganum harmala, Ornithogalum ponticum, Salvia nemorosa, S. verticillata, Tulipa biebersteini, Zygophyllum fabago, Teucrium pollium, T. orientale, Tanacetum vulgare, Thalictrum foetidum* და სხვ., რომელთა სიჭარბე გამოწვეულია ადგილობრივ კლიმატთან მახლობელი შემოუებლობით, რამაც ხელი შეუწყო ბაღის ჰირობებში ზოგიერთი მათგანის თვითნათესით გამრავლებას.

კოლექციის ბირთვს შეადგენს ტყის ელემენტები, რომლებიც ჩვეულებრივ იზრდებიან ტყეებში, ტყის ჰირობებსა და ბილიკებსზე. ამ ჯგუფის ინტროდუცირებული მცენარეებიდან აღსანიშნავია: *Atropa caucasica, Arum albispatum, Aristolochia clematitis, Asparagus verticillatus, Asplenium trichomanes, Betonica officinalis, Campanula rapunculoides, Corydalis angustifolia, Convallaria transcaucasica, Colchicum umbrosum, Cyclamen vernum, Delphinium freynii, Digitalis ferruginea, Dioscorea caucasica, Doronicum orientale, Galanthus causicus, G. kemulariae, G. woronowii, G. lagodechianus, Geum urbanum, Glechoma hederaceae, Gymnospermium smirnowii, Fragaria vesca, Helleborus abchasicus, H. causicus, Lathyrus roseus, L. tuberosus, Melissa officinalis, Paeonia caucasica, P. mlokosewitshii, P. lagodechiana, Phyllitis scolopendrium, Polygonatum multiflorum, P. glaberrimum, P. orientale, Primula woronowii, P. macrocalyx, P. vulgaris, Pyrethrum parthenifolium, Scilla siberica, Viola alba, V. odorata,*

*V. suavis, V. mirabilis, V. reichenbachiana, Tamus communis, Laser trilobum, Valeriana officinalis, Urtica dioica* და სხვ.

აღნიშნული ჯგუფის მცენარეები მეტწილად გამოირჩევიან მორფოლოგიურად და ბიოლოგიურად ბუნებაში მოხარდი თანამომძიებისაგან ერთი ან რამდენიმე ნიშან-თვისებებით: ჰაბიტუსით, სრლადგანვითარების რიტმით, ნაყოფმსმობიარობით, ფენოლოგიური ფაზების ვადებით და სხვ.

კოლექციაში ასევე წარმოდგენილია როგორც მაღალმთის – *Pyrethrum coccineum, P. carneum, Lilium szovitsianum, Colchicum speciosum, Papaver orientale, Ornithogalum magnum, Trifolium ambiquum, Symphytum grandiflorum, Galanthus platyphyllus* და სხვ., ისე კლდე-ნაშალის მცენარეებიც, რომლებიც ჩვენს პირობებში კარგად ვითარდებიან, უხვად ვეგაუილობენ და თესვმსმობიარობენ: *Asphodeline lutea, Allium albidum, Dictamnus caucasicus, Centranthus longiflorus, Eremurus spectabilis, Poterium polygamum, Pyrethrum sericeum, Salvia dagestanica, Sempervivum transcaucasicum, Sedum album, S. acre, S. oppositifolium, S. subulatum, Tanacetum chiliophyllum, Thymus tiflisiensis* და სხვ.

ნაკვეთზე იზრდება ბუნებრივად მოხარდი ის სამკურნალო მცენარეებიც, რომლებიც სარეველა ელემენტებს მიეკუთვნებიან: *Solanum nigrum, Tribulus terrestris, Echinops sphaerocephalus, Capsella bursa-pastoris, Fumaria officinalis, Chenopodium album, Xantium strumarium, Leucanthemum vulgare, Taraxacum officinale, T. vulgare, Leonurus quenquelobatus, Urtica dioica, Plantago lanceolata, P. major* და სხვ.

კოლექციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ერთლებნიან კრინტოფიტებს, რომელთა რაოდენობა 60 სახეობას აღემატება, გაერთიანებულია 11 ოჯახსა და 35 გვარში; მათ შორის აღსანიშნავია: *Allium atroviolaceum, A. paradoxum, Arum albispathum, Asparagus officinalis, A. verticillatus, Asphodeline lutea, Colchicum speciosum, C. umbrosum, Convallaria transcaucasica, Crocus speciosus, Dioscorea caucasica, Eremurus spectabilis, Fritillaria caucasica, Galanthus alpinus, G. caucasicus, G. kemulariae, G. lagodechianus, G. woronowii, Iris carthaliniae, I. caucasica, I. iberica, I. pumila, I. reticulata, Lilium szovitsianum, L. candidum, Merendera trigyna, Muscari szovitsianum, Ornithogalum magnum, O. tempscianum, O. ponticum, Polygonatum glaberrimum, P. multiflorum, Puschkinia*



*scilloides, Scilla siberica, Sternbergia lutea, S. fischeriana, Tamus communis, Tulipa biebersteiniana* და სხვ.

კოლექციაში არსებული მცენარეები ფიტოთერაპიული მოქმედებიდან გამომდინარე, მიეკუთვნებიან სხვადასხვა ჯგუფებს: ანტისეპტიკური საშუალებებიდან აღსანიშნავია: აბზინდა, ასფურცელა, ბადის ზიტნა, ბეგქონდარა, გულუვითელა, კრანხანა, ნეგო, ცაცხვი, ღვია, ქრისტესისხლა.

**ანტიჰემორტული საშუალებები:** კატაბალანა, კულმუსო, კრანხანა, ჩადუნა, ტეის მარწვი, ჯინჭარი.

**ავიტამინოზის საწინააღმდეგო:** ანწლი, ბაბუაწვერა, ბადის ზიტნა, კაკლის ხე, კრანხანა, კუნელი, მავალი, მჟაუნა, ტეის მარწვი, წიწმატურა, ჯინჭარი.

**გულ-სისხლძარღვთა დაავადებები:** სამკურნალო ძიძო, კრანხანა, ქაცვი, ოხრახუმი, ბარამბო, გულუვითელა, შრომანა, შავთარა, კუნელი, შავბალანა, ფუტკარა, ოძომა, დიოსკორეა, შმაგა, ეაუანო, დედაფუტკარა და სხვ.

**თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებები** – კოწახური, ენდრონიკა, ტუსტი, ცაცხვი, ლაშქარა, ტეის მარწვი, სამურა, ჭინჭარი, ფიჭვი, ვირისტერფა, ღვია, იასმანი, სატაცური, ბეგქონდარა, დიდი კამა, ასკილი, ბარისზირა, ჩვეულებრივი მასტიტელა, ბოწეული, ფარსმანდუკი, მრავალძარღვა, სალბი, ქაფუნა, ჯადვარი, კურდღლისცოცხა და სხვ.

**ნერვული სისტემის დაავადებები** – კუნელი, კატაბალანა, თავშავა, კრანხანა, ბარამბო, შრომანა, ცაცხვი, კატაბიტნა, ეაუანო, იორდასალამი, შავბალანა, მამულა, ბეგქონდარა, ლენცოფა, ლემა, ქეროფელა, ნარშავი, აბზინდა, კუნურუკი, ხეჭრელი, სავარცხელა და სხვ.

**ონკოლოგიური დაავადებების საწინააღმდეგო** დამოყენებული მცენარეები: ასკილი, ანწლი, ბრტყელეკალა, გულუვითელა, მამულა, ნიასური, ოროვანიდი, ქრისტესისხლა, ღორის ბირკა და სხვ.

**სასუნთქი გზების დაავადებები:** გულუვითელა, თავშავა, ტეის მარწვი, სამკურნალო ტუსტი, სამკურნალო სალბი, ნიკვისიძირა, მუნა, ცაცხვი, იფანი, ანისული, ნიუკა, ოძომა, ანგელოზა, სამკურნალო უსუმი, კატაბიტნა, ვირისტერფა, მრავალძარღვა, ბალბა, ფოლორცის ბალანი, ასკილი, ბეგქონდარა, სამკ. ბარისზირა, კულმუსო, ფიჭვი, საზონა, ძიძო და სხვ.

**მწვავე რესპირატორული დაავადებები:** დედოფლისთითა, ცოცხმაგარა, ჯინჭარი, ქაფურა, ცაცხვი, მავალი, ვირისტერფა, ბარამბო, ლაშქარა, იასმანი, გრაკლა, მამულა, ფარსმანდუკი და სხვ.

**სახსრების დაავადებები:** ანწლი, მარინამსაკელა, ლენცოფა, ძიძო,

ქუჩურუკი, ცაცხვი, სანონა, იფანი, ოროვანი, ასფურცელა, ძალეურმენა, ენდრონიკა, ფიჭვი, სატაცური, იასამანი, გრავლა, ია, ქრისტესისხლა, სალბი, მუხარადა, იფანი და სხვ.

**საკვების მომწოდებელი სისტემის დაზარალებები:** სამკურნალო ტუნტი, ოძომა, კაკბისსაკენკელა, ნიგვისიძირა, ბროწეული, ქაფუნა, თაფშავა, კრახანა, ტუის მარწვი, სამკ. უსუზი, გულევითელა, კატანიტნა, სელიჭა, ასფურცელა, აბინდა, ბაღბა, ბრტეველეკალა, ფარსმანდუკი, სამკ. სალბი და სხვ.

**ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაზარალებები:** კაწახური, ოძომა, დედოფლისთითა, ქაფუნა, მუნა, გულევითელა, ქერიფელა, ცაცხვი, ღვია, ქაცვი, წიწმატურა, აბინდა, შავთარა, შმავა, შიტნა, ბეგქონდარა, დიდი კამა, სალბი, ასფურცელა, ბირკავა, ენდრონიკა, ვარდკაჭაჭა, ქრისტესისხლა და ა.შ.

ინტროდუცირებული სამკურნალო მცენარეების კვლევა ჩვენს მიერ შემდეგი სქემით მიმდინარეობს: (1) სახეობის არეალის, ადგილსამყოფლისა და ზოგადსახეობის სტრუქტურის დადგენა, რაოდენობრივი შეფასება; (2) საწყისი მასალის შეგროვება; (3) იშვიათი და გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გამოვლენა, მათი *ex situ* კონსერვაცია; (4) საკვლევი მცენარეების ბიოეკოლოგიურ თავისებურებათა შესწავლა ბუნებრივ და კულტურის პირობებში; (5) გამრავლების ხერხებისა და ავროტექნიკური ღონისძიებების შემუშავება; (6) კულტურაში დანერგვის ოპტიმალური წონების მიება და შესაბამისი რეკომენდაციები.

ჩვენს მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული დაკვირვებების შედეგად, რიგ სამკურნალო მცენარეებზე შექმნილია კულტურაში დანერგვის რეგლამენტი. შერჩეულია ზერსაშუალო სახეობები, რომელთა კულტივირება სამრეწველო მიზნებისათვის შესაძლებელია ადამიანისათვის საჭარბოვანად სემიარტიდულ პირობებში.

ამჟამად, სამკურნალო მცენარეების სექტორის თანამშრომლების დღის წესრიგშია სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთის ახლად შემოერთებულ 1 ჰა ფართობზე „მედიას ბაღის“ ექსპლანტაციის შექმნა, სადაც წარმოჩენილი იქნება ის ძირითადი ბალახოვანი და მერქიანი მცენარეები, რომლებიც ისტორიული მონაცემების თანახმად, პპ საუკუნის წინ იზრდებოდა კოლხეთის დაბლობზე, მეფე აიეტის მეუღლის ჰეკატესა და მისი ქალიშვილის მედიას ბაღში.

## ცნობები სამკურნალო მცენარეებზე ისტორიული წარსულიდან

საქართველო სამკურნალო მცენარეთა შესწავლისა და წამალთმცოდნეობის თვალსაზრისით უძველესი ქვეყანაა. ხალხური ფარმაცოლოგიისა და წამალთმცოდნეობის მდიდარი ტრადიციები ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს ტრადიციები თაობიდან თაობაში გადადიოდა, საუკუნეებით გრძელდებოდა და დღესაც მრავალი სამკურნალო საშუალება და მისი გამოყენების ხერხი მიღებული და ცნობილია.

საქართველოში თემური და ანტიკური ჰერიოდის მედიცინის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები, ქართული მითოლოგიური ეპოსი, არქეოლოგიური გათხრები და ეთნოგრაფიული კვლევის მასალები, ძველი ქართული სამედიცინო წყაროები.

საქართველოს სამკურნალო მცენარეების გამოყენების ისტორიისათვის მნიშვნელოვანია თქმულება არგონავტების შესახებ, დიდი ლიტერატურულ - მეცნიერული ძეგლი, ალექსანდრიელი მკაცხის ანოლონიოს როდოსელის ჰომეროსის „არგონავტიკა“, რომლის სრული ჰომეროსი თარგმანი მისი დაწერიდან დაახლოებით 2300 წლის შემდეგ გამოქვეყნდა. ნაწარმოების სქელიოებში დაცული მითითებებით ირკვევა, რომ ავტორმა მუშაობისას მრავალი წყარო გამოიყენა. დამოწმებულია ელინური და ელინისტური ჰერიოდები, ანოლონიოსის წინამორბედი და თანამედროვე ავტორები, კერძოდ: ჰომეროსი, ჰესიოდე, ჰინდარე, ესქილე, სოფოკლე, ჰელანიკე, ჰეროდორე, ჰეროდოტე, ფერეკლი, ანტიმაქე, ასკლეპიადე, ევრიპიდე და მრავალი სხვა. არგონავტების ექსპედიციის ხანად ჩვ.წ.-მდე 1263-1257 ან 1189-1180 წლებს მოიაზრებენ (Эристави и др. 1967). თქმულება მიუთითებს ძველ კოლხეთში სამკურნალო მცენარეების ხელოვნურად გაშენების ფაქტზე და საერთოდ ჩვენში უსსოვარი დროიდან მცენარის სამკურნალოწამლად გამოყენებაზე.

ანოლონიოსის თანახმად, კოლხეთში, „არესის ველზე, არესის ქალაქში“ არსებობდაჰეკატეს სამკურნალო მცენარეთა ბაღი, სადაც გაშენებული ეოფილა მრავალი სახეობის მცენარე (არგონავტიკა, 1975). მიიჩნევენ, რომ ეს იყო იმ დროისათვის უველანზე მრავალფეროვანი და ფლორისტულად მდიდარი, ფაქტიურად ჰირველი

ბოტანიკური ბაღი მსოფლიოში (მ.შენგელია, 1979; 1981).

მეტად საინტერესო მონაცემები მოჰყავს ანოლონიოს როდოსელს, მედვას მიერ სამკურნალოდ გამოყენებული ერთ-ერთი ბალახის “ზრომეთეს ყვავილის“ შესახებ, რომლის იდენტირობაც დღემდე დაუდგენელია. კერძოდ:

„... ამბობენ, რომ ამ ჯადოსნურ ყვავილს „ზრომეთეს წამალს“ უწოდებს ხალხი. თუ დედისერთა ქალწულის გულსა ღამის მსხვერპლებით მოიკებს ვინმე, ზრომეთეს წამლით განიბანს ტანსა და საიდუმლოდ განიწმინდება, მას ვერც მსხელით განგმირავს ვინმე, ვერც შუბითა და სატყვერით დაჭრის, არც მოვიზგიზე ცეცხლის წინაშე დაიხვეს უკან ასეთი კაცი. იმ დღეს იმისი მძლეველი კაცი დედის მუცლიდან არა შობილა. ყვავილი იგი გაჩნდა ზირველად კავკასიონის მწვერვალთა შორის, როცა წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა კლდეზე მოწამე ზრომეთეს სისხლი, ტიტანს კორტნიდა ხარბი არწივი, მიწას ნამაგდა უკვდავი სითხე, და წურთის სიმაღლის ორღეროვანი კონტა ყვავილი იხარდა მისგან, კორიეოსის საფრანის მსგავსი, ღვთაების გულის სისხლით ნაკვები, ღრმად რომ გაუღვამს წითელი ფესვი, სადღაც მიწაში ღვივის უჩინოდ, ქორფა საკლავის ჯერაც სისხლიან ხორცის ნაჭერი რომ გუგონება, და წვენი გასდის - მაღალი მთების მუხის წვესსა ჰგავს ის მუქი წვენი.“... (არგონავტიკა, 1975; გვ. 140).

ბაღში არსებულ მცენარეთა შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის „ორფიკული არგონავტიკის“ უცნობი ავტორიც (ან.წ. III-IV ს-ის მიჯნაზე შეთხზული ნაწარმოები) მის მიერ, მედვას ბაღში მითითებულ მცენარეებს იმის განმარტებაც ახლავს, თუ რისთვის იყენებდა მედვა მათ, მაგ., ასფოდელუსი – სამარხებზე რომ იხრდება და ჯადოსნურ სიხმრებს იწვევს; ზეონია – ქალურ სნეულებათა მთავარი წამალი, სწამების საწინააღმდეგო საშუალება; იფნურა (დიქტამნუსი) – უებარი წამალი გველნაკებინსა; მანდრაგორი – გამაცოფებელი და დასაძინებელი; ძაღლურძენა – განსაკუთრებით გამოიყენებოდა გრძნეულების ხელოვნებისათვის; ბაღის არჯაკალი – რომლის ნაწური წვენი სისხლდენის საწინააღმდეგოდ იხმარებოდა, ფრინტა (ანემონე) – კბილის ტკივილის, ქარების, სურავანდისა და თავზე მუნის სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა; კონგოლის თესლი შხამსაწინააღმდეგო საშუალებად მიაჩნდათ; ეოჩივარდას იყენებდნენ როგორც მათრობელა და მუცლის მოწვევების ძლიერ საშუალებად; საღბი – ცხელი საფენებისა და გამოსავლების სახით იხმარებოდა; ლავანდა – შედიოდა ჩირქროვების სამკურნალოდ ხმარებული

წამლების შემადგენლობაში; ზიტნა – ჭრილობის წამლად იყო მიხნეული; თავშავა – გველნაკბენის უებარ წამლად ითვლებოდა; წიწმატი – ნაქები იყო როგორც გესლიან ქვემშრომა ძლიერი შხამსაწინააღმდეგო საშუალება; ზაფრანას სამკურნალო ძალა ქალურ სნეულებათა საწინააღმდეგოდ იყო განთქმული და ა.შ. (ორფიკული არკონავტიკა, 1977).

სწორედ ამ ნაწარმოებზე დაურდნობით, XVIII საუკუნის გამომჩენილი მოღვაწე, მსოფლიო მედიცინის ისტორიის მკვლევარი და სისტემატიკოსი კურტ შნრენგელი თავის 5 ტომიან შრომაში, რომელშიც იგი მსოფლიოს მედიცინის ისტორიას „უმეველესი კოლხური მედიცინის“ გადმოცემით იწეებს, ასახელებს „მედას ბაღში“ მოზარდ სამკურნალო მცენარეებს ლათინური ტრანსკრიპციით:

*Laurus nobilis* – დაფნა

*Cornus mas* – შინდი

*Platanus* – ჭადარი

*Asphodelus ramosus* – ასფოდელი

*Lathyrus chymenum* – არჯაკელი

*Adiantum capillus* – ვენერას თმა

*Cyperus rotundus* – მრგვალი თავნასკვა

*Verbena supina* – ვერბენა (ცოცხანა)

*Anemone coronaria* – ფრინტა

*Salvia hovminum* – სალბი

*Sisymbrium policeratum* – გონგოლა

*Lavandula stoechas* – ლავანდა

*Cyclamen* – უოჩივარდა

*Hedera folium* – სურო

*Paeonia officinalis* – იორდასხლამი

*Mentha cervina* – ზიტნა

*Origanum dictamnus* – თავშავა

*Lepidium sativum* – წიწმატა

*Crocus* – ზაფრანა

*Taxus baccata* – ურთხმელი

*Phaseolus vulgaris* – ჩვეულებრივი ლობიო

*Smilax aspera* – ეკალდიჭი

*Anthemis nobilis* – ირავა

- Pyrethrum parthenium* – გვირილა
- Matricaria chamomilae* – სამკურნალო მატრიკარიონი
- Glaucium luteum* – ევაჩურა
- Malva taurnefortiana* – ბალბა
- Ferula opopanax* – საკპინაჭი
- Pastinaca lucida* – ძირთეთრა
- Valeriana tuberosa* – კატაბალანა
- Stelle* – ჟუნჯრუკი
- Micropus erectus*
- Corallina* – კორალინა
- Teucrium montanum* – ჭარელა
- Aconitum* – ტილჭირი
- Echinophora tenuifolia* – ეხინოპორა

„ზონტო განთქმული იყო მთელ ანტიკურ სამყაროში თავისი შხამიანი და სამკურნალო ბალანსების სიუხვით, – წერს კურტ შპრენგელი; ფლობდნენ შხამსაწინააღმდეგო ანტიდოტურ საშუალებათა მომზადების ხელოვნებას, რომელსაც შედგომ ზონტოს მეფე მითრიდატე VI ევანტორიელი იყენებდა. ცნობილი ეოფილა უურძნის წველისა და ღვინის გამოყენება მიკროდოზებით, ძალეურძენასა და სხვა მცენარეების ნაყოფის მინარეგებთან ერთად, როგორც ანალგეტიკური, ტკივილგამაუჩუბელი საშუალება. იყენებდნენ წამლის მომზადებისას სინერგისმის მეთოდს, იცნობდნენ წნევის და სიცხის დამწვეს, ოფლის მომდენ, ხველების საწინააღმდეგო და სხვადასხვა საგულე – კარდიოლოგიურ საშუალებებს; გრძეულების ხელოვნებისათვის განსაკუთრებით გამოიყენებოდა ძალეურძენა, რომლის ფესვებიც ღვინოსთან შერეული არც თუ უსიამოვნო ზმანებებს იწვევდა, რაც ხშირად 3 დღეს გრძელდებოდა, ხოლო მისი დიდი დოზებით მიღება სიკვდილით მთავრდებოდა. მანდრაგორას (შეიცავს ჰიოსცინამინსა და სკოპალამინს) გამაცოფებელი და დასამინებელი ძალა კარვად იყო ცნობილი. ჩვეულებრივი ბელადონა (შმაგა, ანუ გიჟანა) ხშირად გვხვდება კოლხეთში, სამხრეთ ტავრიდანსა და საერთოდ კავკასიაში. ასეთი და ამის მსგავსი ბალანსებით ეწეოდა მედვას ოჯახის კოლხეთში თავის საქმიანობას. შხამსაწინააღმდეგო საშუალებებსაც ეძებდნენ ისინი და საამისოდ სათანადო მცენარეებიც მოჰყავდათ. ამენებდნენ

ისეთ მცენარეებსაც, როგორსაც მოგვიანებით მითრიდატე VI ევპატორიელიც იყენებდა“ (ციტ.: სალუქვაძე, 1987).  
იმ პერიოდში უკვე ცნობილი იყო სამკურნალო მცენარეთა ისეთი ფარმაცოლოგიური თვისებები, როგორიცაა კოაგულაციის და ანტიკოაგულაციის; ნარკოტიკული, სედატიური, ანალგეტიკური, მოძაკვდინებელი და შხამსაწინააღმდეგო სამუალებათა მომზადების ხელოვნება. წარმატებით გამოიყენებოდა წნევისა და სიცხის დამწვევი, ოფლმდენი, ხველების საწინააღმდეგო და სხვადასხვა კარდიოლოგიური სამუალებები (წუწუნავა, 1960; მ. შენკელია, 1979; სალუქვაძე, 1987).

ეველასე მნიშვნელოვანი ამ გამოკვლევებში უპირველეს ყოვლისა ის არის, რომ ძვ. წ. ა. II ათასწლეულში კოლხეთის დაბლობზე 40-მდე სამკურნალო მცენარის კულტივირება ხდებოდა. ეეს კი თავისთავად ძველი კოლხური მედიცინის მაღალ დონეზე მეტყველებს.

დღევანდელი თვალთ დანახული ძველი კოლხეთი ბერძნულ მითად უკვე აღარ გვეჩვენება – იგი რეალობაა ეველასათვის, ვინც კი გარკვეულია ქართული არქეოლოგიის უკანასკნელი დროის ბრწინვალე წარმატებებში. ტიმ სვერინმა კი თავის მსრივ თითქოს გამოაღვიძა ჰჰ საუკუნის ძილის შემდეგ მეფე აიეტი და მისი ოჯახი. თითქოს ხელახლად აუვადა ის მდიდარი ბაღი, სადაც დედა და მისი ორი ქალიშვილი თავს დასტრიალებდნენ სამკურნალო მცენარეებს, მათგან წამლებს ამზადებდნენ და ზღვის ნიქარებში ინახავდნენ.

ნუ გავაუბრალეთ ისტორიას და ისტორიულ პერსონაჟებს, მაგრამ მანც დღევანდელი თვალთ შევხედოთ ამ უკვე არამითიურ ქალს – მედეას, არკონავტიკის მთავარ გმირს, ვინ იყო და რას წარმოადგენდა.

განსაკებია, რომ ჰჰკატე, მედეა და ცირცე თავისი დიდი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის მეშვეობით ეზიარნენ ხალხურ გამოცდილებას, თუ როგორ უნდა დაემზადებინათ მცენარეებისაგან შხამიანი და და სხვა სახის სამკურნალო პრეპარატები.

ბერძენმა ტრაგიკოსმა პოეტმა ევრიპიდემ ჯადოქრად გამოიყვანა მედეა და საკუთარი შვილების მკვლელობა მიაწერა, რაც შემდგომში, ისტორიული დოკუმენტებით იქნა უარყოფილი. პირიქით, მედეა ბრძენი, კაცთმოყვარე ქალი ყოფილა, რაც მისი საეპიძო

ხელოვნებით მტკიცდება. ჩვენ არ შევჩერდებით არც რომანტიკურ სიუჟეტზე და არც მედვას ბედ-იღბალზე, გვსურს მხოლოდ გარკვეული ლოგიკური დასკვნების გამოტანა ასპექტში, იყო თუ არა მედვას ბაღი მსოფლიოში ჰირველი ბოტანიკური ბაღის ფუნქციის მატარებელი ბაღი და მეორეს მხრივ რაოდენ ისარგებლეს მედვას სამედიცინო კომპლექსით, ე.ი. კოლხური მედიცინით სსვა ქვეყნების ექიმებმა (მ. შენგელია, 1979).




**Anselm Feuerbach. Medea. 1870.**

*„Современники писателя утверждали, что Еврипид приписал убийство мальчиков их матери, а не коринфянам, как было раньше, за огромную взятку в 5 талантов, нацеленную на очищение доброго имени города“* ([yassena.livejournal.com/222832.html](http://yassena.livejournal.com/222832.html))

როგორც უკვე აღვნიშნეთ არგონავტულ ლიტერატურაში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი ის განსაცვიფრებელი ბაღი, რომელიც მრავალი დასახელების მცენარეს შეიცავდა. ბბევრი მათგანი სსვა ქვეყნებიდან იყო ჩამოტანილი და ადგილზე კულტივირებული (მაგ.: მანდრაგორი, ლავანდა, საკპინაჭი და სსვა.). თუ გადავხედავთ ამ ბაღში განარებული მცენარეთა სიას წარმოდგენილს ბერძნული სახელწოდებებით, დავასკვნით, რომ ეს ბაღი ხელოვნურად



გაშენებული სამკურნალო მცენარეთა ცოცხალი კოლექცია ეოფილა თავის დროზე. ისტორიამ შემოინახა მდიდარი ბაღების აღწერილობა უძველეს სახელმწიფოებში: ეგვიპტეში, ასირია-ბაბილონში, ინდოეთში და სხვ., მაგრამ ისინი დეკორატიული, განათობი სასიათის ბაღები იყო, განკუთვნილი მეფეებისა და რჩეულ ზირთათვის. ჭეშმარიტი ბოტანიკური ბაღი ევროპაში დაარსდა მხოლოდ 1309 წელს (სალერნო, იტალია).



Medea. William Wetmore Story (1819 - 1895). 1865.

უსაფუძვლო არ იქნება, რომ „მედვას ბაღს“ ბოტანიკური ბაღების ზირველი ზროტოტიზი დავარქვათ და ამით მეველ კოლხეთს ზრიორიტეტი მივანიჭოთ, მით უმეტეს, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ დადგენილ იქნა ამ ბაღის მდებარეობა და მისი საზღვრები.

დადასტურებული მონაცემებით, „მედვას ბაღი“ გაშენებული ეოფილა კოლხურ-გეოგრაფიულ ზროფინციაში, რომელიც მოიცავს კოლხეთს და მცირე აზიას ლასისტან-ზონტოს ქედის გაუოლებით მდინარეების მეღეთ-ორღუს წვალგამეოფამდე. როგორც ცნობილია, საქართველოს

ფლოროცენოტიკური კომპლექსებიდან სასეობრივი შემადგენლობით, ეკოლოგიურად და ბოტანიკურ-გეოგრაფიულად გამოირჩევა სწორედ კოლხეთის რეფუგოიუმი, სადაც წარმოდგენილია უძველესი რელიქტური და ენდემური სასეობები. ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზით ვლინდება, რომ „მედვას ბაღში“ მცენარეთა შემადგენლობა კლიმატზე დამოკიდებულებით და ფლოროცენოზით ჰეტეროცენურია, ჭარბობს არიდული და ჰუმიდური ოლქების (სმელთაშუაზღვისპირეთის, წინა და მცირე აზიის, აღმოსავლეთ აზიის) მცენარეები. მათ შორის გარკვეული მნიშვნელობა აქვს სმელთაშუაზღვის აუზის ფლორისტული ცენტრების მცენარეებს ენიჭება. კერძოდ, უძველესი სმელთაშუაზღვეთის სასეობათა ჯგუფს, რომელთა არეალი ერთ ან რამდენიმე ურთიერთმოსაზღვრე ბოტანიკურ-გეოგრაფიულ ოლქს მოიცავს (გაგნიძე და სხვ., 2009).

კოლხეთის ფლორის მრავალფეროვნებას უძველეს წარსულში ადასტურებს ჰალეობოტანიკური გამოკვლევებიც. XX ს-ის 60-იან წლებში სოხუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ თანამშრომლების მიერ დასავლეთ საქართველოს ჰონტური დანალექების ფლორისტულმა შესწავლამ შესაძლებელი გახადა დადგენილიყო უძველეს წარსულში მოხარდი რიგი სასეობებისა, რომელთა შორისაა „მედვას ბაღში“ მითითებული მცენარეებიც, რაც კოლხას სამეფოს მედვას წალკოტში მოხარდი მცენარეების რეალური არსებობის კიდევ ერთი დასტურია (Ратиани, 1979).

მეორე მომენტი, რომელზედაც გვსურს შევანეროთ ყურადღება ეს არის ის ფარმაკოლოგიური და ფიტოთერაპევტული შემკვიდრება, რომელიც მედვამ დასტოვა საბერძნეთში. ეეს შემკვიდრება იმდენად დიდია, რომ არსებობს მედიცინის ისტორიის გარკვეული დარგი „Cura Mediana“, რომელიც სპეციალურად სწავლობს მედვას საექიმო ხელოვნებას., რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ეს იდეები ჩაისახა, სამედიცინო-პრაქტიკული საქმიანობა არ შეიძლება მაღალ დონეზე არ მდგარიყო. აამ დარგში დიდი ენერჯით მუშაობდნენ ჩვენი ქვეყნისა და სხვა უცხოელი მედიკოსები.

ბერძენმა ექიმებმა უძველესი დროიდან მოყოლებული, გულდასმით შეისწავლეს მედვას სწავლების ძირითადი პრინციპები, შხამების, სამკურნალო მცენარეებისა და თვით დაავადებების შესახებ. მათ შორის იყვნენ ჰიპოკრატე და დიოსკორიდი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ანტიკური ხანის მოღვაწე დიოსკორიდი შხამიან მცენარეებს

„კოლხიკონს“ უწოდებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ძველ ბერძნებს ამ მცენარეთა სამშობლოდ კოლხეთი მიაჩნდათ..

საუკუნეების შემდეგ ბერძნული სამედიცინო თხზულებები არაბულ ენაზე ითარგმნა, შემდეგ სპარსულზე და საქართველოში შემოვიდა არაბულ-სპარსული მედიცინის სახით. დღემდე იმისა, თუ რა ადგილი უკავია აღმოსავლურ კარაბადინებში მედვას სამედიცინო კომპლექტის, მეტად მწიკადია მაგრამ ნაწილობრივ შესაძლებელია, რადგან ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ რიგი არაპირდაპირი მახველებით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ხასიათის მონაცემებით, ვგვლახე მეტად კი ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენებით. გამოკვლევები ამ მიმართულებით კვლავ გრძელდება, რომელიც კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ძველ კოლხურ-იბერიულ მედიცინის კულტურის შესახებ (ბიძინაშვილი, 2011; 2014).

იმედია, მომავალში „მედვას ბაღის“ სავარაუდო ტერიტორიაზე დაიკვება ის მცენარეები, რომლებიც იქ ხარობდნენ შპ საუკუნის წინათ და მედვას სამკურნალო მცენარეების კოლექცია ახალ სიცოცხლეს ჩვენს დროში შეიძენს.

***„ღაჯუ შვკლაჲ იუთს კოლხურ-იბერიული მედიცინა და ისევ აუვაჲდეს მედვას ბაღი“?***

და ბოლოს: ვფიქრობთ, უზრინი იქნება საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთის ახლად მიერთებულ, შედარებით დაუტვირთავ მონაკვეთზე „მედვას ბაღის“ ლანდშაფტური კუთხის მოწყობა და იმ ძირითადი სამკურნალო მცენარეების წარმოჩენა, რომელთა მოშენებაც ქართველი ხალხის წინაპრები უძველეს საქართველოში აწარმოებდნენ.

## ლიტერატურა – References

- ანკლანის რეალური სკოლის სტრუქტურა „მეცნიერება“. თბილისი, 1975.
- ასიეშვილი ლ., რ. ბიძინაშვილი, ნ. ერსამე, მ. სირამე, ნ. ცხადაძე „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ბუნებრივი ფლორა (ბალახოვანი მცენარეები) „კენტავრი“, თბილისი. 2014.
- ბიძინაშვილი რ., მ. ელბაქიძე თბილისის მიდამოების იშვიათი სამკურნალო მცენარეები. „ბასიანი“, თბილისი. 2008.
- ბიძინაშვილი რ. თბილისის მიდამოების ფლორის სამკურნალო გეოფიტები. „ბასიანი“, თბილისი. 2009..
- ბიძინაშვილი რ., მ. ელბაქიძე, ნ. ცხადაძე, ხ. ხაიკაშვილი თბილისის მიდამოებში მოხარდი სამკურნალო სარეველ მცენარეები. „ბასიანი“, თბილისი. 2009.
- ბიძინაშვილი რ., ნ. ცხადაძე, ხ. ხაიკაშვილი თბილისის მიდამოების სამკურნალო მცენარეები. „ბასიანი“, თბილისი. 2010.
- ბიძინაშვილი რ. შრომანას კულტივირების ჰერსპეკტივები. „ბასიანი“, თბილისი. 2011. ბიძინაშვილი რ. წითელი ანუ კავკასიური გვირილა. „ბასიანი“, თბილისი. 2011.
- ბიძინაშვილი რ. სამკურნალო მცენარეები (წარსული, აწმყო და მომავალი). „ბასიანი“, თბილისი. 2011.
- ბიძინაშვილი რ. სამკურნალო მცენარეები და ბოტანიკური ბაღები. „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
- ბიძინაშვილი რ. გასაფხულის მანარობლები-თეთრფავილები. „უნივერსალი“, თბილისი, 2012. ბიძინაშვილი რ. მშენიერი შრეში. „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
- ბიძინაშვილი რ. საკვები და სილექტროვანი მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. „კენტავრი“, თბილისი. 2013.
- ბიძინაშვილი რ. ტრონიკული და სუბტრონიკული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. წიგნი ორ ნაწილად. „კენტავრი“, თბილისი. 2013.
- ბიძინაშვილი რ. სანელებელ-არომატული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. „კენტავრი“, თბილისი. 2013.
- ბიძინაშვილი რ., ჯ. გიორგბერიძე „მედიკალური ბაღის“ ექსპონირება საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში. საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომები. 100. თბილისი, 2014.
- გაგნიძე რ. საქართველოს ფლორის კონსპექტი, ნომენკლატურული ნუსხა. თბილისი, 2005.

გაგნიძე რ., ხელაია ნ., მარგალიტაძე ნ., ბაცაცაშვილი ქ., ჭურბაძე მ., ჭეიშვილი თ. მედიას სამკურნალო ბაღის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანატიკები. მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევები. ნაკვ. 46-47. „უნივერსალი“. თბილისი, 2009.

გვრიტიშვილი დ., შ. მესხია დელაპორტი თბილისში. თბილისის ისტორია. თბილისი, 1952.

გზის მანვენებელი ტიფლისის ბოტანიკურ ბაღში. ტიფლისი, 1931.

გოგოლიშვილი მ., ვ. სსიერელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღი /მოკლე ისტორია/. „მეცნიერება“. თბილისი. 1986.

გეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის“ გამომც. თბილისი, 1959.

გეცხოველი ნ. ბოტანიკა საქართველოში. „მეცნიერება“. თბილისი, 1969.

გერესელიძე ჯ., მ. ელბაქიძე თბილისის ბოტანიკური ბაღის წარსული, აწმყო და მომავალი. თბილისის ბოტანიკური ბაღის შრომები. 96. თბილისი, 2006.

ლორია მამია, ჯიმშერ გერესელიძე ადოლფ ქრისტან როლოვი და თბილისის ბოტანიკური ბაღი. „დედაენა“. თბილისი, 2001 წ.

მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. მესამე გამოცემა. „მეცნიერება“, თბილისი. 1991.

მაყაშვილი ზურაბ მცენარეთა სახელდება. „მეცნიერება“, თბილისი. 1996.

ორფიკული არგონავტიკა „თსუ“. თბილისი, 1977.

პოლიექტოვი მ., ვ. ნათაძე ტურნეფორი თბილისში. 1930.

სალექვაძე ს. წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები. უძველესი დროიდან XX ს-მდე. „სელოვნება“. თბილისი, 1987.

საქართველოს სსრ „წითელი წიგნი“. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1982.

საქართველოს წითელი ნუსხა“. თბილისი, 2006.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური (თბილისის) ბოტანიკური ბაღი. მეგზური. შემდგენლები: ჯ. გერესელიძე, მ. ლორია. თბილისი, 1999.

შარდენის მოგზაურობა /ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში/. „მეცნიერება“. თბილისი 1975.

შენგელია ზ. თბილისის მიდამოებში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები. საქართველოს ბუნების დაცვა, ნაკვ. IV, თბილისის მიდამოები. „მეცნიერება“. თბილისი, 1970.

შენგელია მ. უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა. „სახჭოთა საქართველო“. თბილისი, 1979.

წუწუნავა ნ. საქართველოს სამკურნალო მცენარეები. „განათლება“, თბილისი, 1960.

ჯიმშერ კერესელიძე, მამია ლორია, მანანა ელბაქიძე თბილისის ბოტანიკური ბაღი 365 წლისაა. „დედაენა“ თბილისი, 2001 წ.

Андроникашвили Б.А., Манагадзе Г.К., Сахокия М.Ф., Эквтимшвили М.С. Путеводитель по Центральному ботаническому саду АН ГССР. Тбилиси, 1978.

Вестник Тифлисского ботанического сада. вып. II, Тифлисс, 1915

Гоголишвили М. А. Схиерели В. С. К истории Центрального Ботанического Сада АН ГССР. Бюлетень Главного Ботанического Сада АН СССР. М. 1972.

Иоселиани П. «Описание древностей города Тифлиса» 1866. Записки научно-прикладных отделов Тифлисского ботанического сада. Вып. II, Тифлисс, 1921.

Отчет о деятельности Тифлисскаго ботанического сада за четырехлетие с 1896 по 1899 года включительно. Тифлисс, 1900.

Отчет о состоянии Тифлисскаго ботанического сада за семилетие с 1900 по 1906. Тифлисс, 1907.

Отчет о деятельности Тифлисскаго ботанического сада за 1912. Тифлисс, 1913.

Отчет о деятельности Тифлисскаго ботанического сада за 1913. Тифлисс, 1914.

Отчет о деятельности Тифлисскаго ботанического сада за 1914. Тифлисс, 1915.

Ратиани Н. К. Плиоценовые и плейстоценовые флоры Западной Грузии и их связи современной флорой. „Мецნიереба“. Тбилиси. 1979.

Труды Тифлисского ботанического сада. Вып. IV, Тифлисс, 1899

Труды Тифлисского ботанического сада. Вып. XIV, Тифлисс, 1916.

Труды Тифлисского ботанического сада. Вып. XX. Тифлисс, 1917.

Фомин А.В. Отчет о научной деятельности Тифлисского ботанического сада за 1909 год. Тифлиси, 1910.

Фомин А.В. Отчет о научной деятельности Тифлисского ботанического сада за 1910. Тифлиси, 1911.

Эристави К. Д., Гелбахиани П. Г., Саакашвили М. Г., Гелашвили А.П. Медицина Грузии. „Ганатлеба“. Тбилиси. 1967.

ka. wikipedia.org/wiki/ ვახუშტი ბატონიშვილი

ka. wikipedia.org/wiki/ შლატონ იოსელიანი

ka. wikipedia.org/wiki/ კარლ ბერი

[www.geworid.ge/View.php](http://www.geworid.ge/View.php) ვორონცოვის დროის თბილისი.

[https:// ru.wikipedia.org/wiki/ Воронцов Михайл Семенович](https://ru.wikipedia.org/wiki/Воронцов_Михайл_Семенович)

[https:// ru.wikipedia.org/wiki/ Воронов Юрий Николаевич](https://ru.wikipedia.org/wiki/Воронов_Юрий_Николаевич)

[www.newikis.com/ru/wiki.Woronow](http://www.newikis.com/ru/wiki.Woronow)

[https://ru.wikipedia.org/wiki/ Гроссгейм Александр](https://ru.wikipedia.org/wiki/Гроссгейм_Александр)

Альфонсович

[https:// ru.wikipedia.org/wiki/ Жозеф Питтон де Турнефор](https://ru.wikipedia.org/wiki/Жозеф_Питтон_де_Турнефор)

[bidspirit.com/portal/ Аббат Жозеф де Ла Порт](http://bidspirit.com/portal/Аббат_Жозеф_де_Ла_Порт)

[https:// ru.wikipedia.org/wiki/ Мищенко Павел Иванович](https://ru.wikipedia.org/wiki/Мищенко_Павел_Иванович)

[www.lesnik.ru /vek 20.11 html](http://www.lesnik.ru/vek_20.11.html) Савич Владимир

Михайлович

[https// ru.wikipedia.org/wiki/ Сосновский Дмитрий](https://ru.wikipedia.org/wiki/Сосновский_Дмитрий)

Иванович

[https// ru.wikipedia.org/wiki/ Фомин Александр Васильевич](https://ru.wikipedia.org/wiki/Фомин_Александр_Васильевич)

[https// ru.wikipedia.org/wiki/ Шарден Жан Батист Симеон](https://ru.wikipedia.org/wiki/Шарден_Жан_Батист_Симеон)

[https// ru.wikipedia.org/wiki/ Шишкин Борис](https://ru.wikipedia.org/wiki/Шишкин_Борис)

Константинович

[https// ru.wikipedia.org/wiki/ Цицианов Павел Дмитриевич](https://ru.wikipedia.org/wiki/Цицианов_Павел_Дмитриевич)

(შავლე დიბიტრის-მე ციციშვილი)

[www. 91 c. com /utkin-leonid-antonovich. html](http://www.91c.com/utkin-leonid-antonovich.html)

(<http://pro-derbent.ru/34-luchshee/dagestan/210-sarykum-zapovednaya-pustynya-u-vorot-dagestana>) © [www.pro-derbent.ru](http://www.pro-derbent.ru)

## სამიებელი

1. წინასიტყვაობა .....	3
2. სამკურნალო მცენარეების განვითარების ჰიროველი ეტანი თბილისის ბოტანიკურ ბაღში .....	5
3. კავკასიის ფლორის სამკურნალო მცენარეების შემსწავლელი ცნობილი მკვლევარები (1900-1920-იანი წლები) .....	30
4. სამკურნალო მცენარეების განვითარების მეორე ეტანი თბილისის ბოტანიკურ ბაღში .....	50
5. სამკურნალო მცენარეების კოლექცია საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში .....	69
6. ცნობები სამკურნალო მცენარეებზე ისტორიული წარსულიდან .....	77
7. ლიტერატურა .....	86



სამკურნალო მცენარეების საკოლექციო ნაკვეთი  
თბილისის ბოტანიკურ ბაღში



ჩვეულებრივი ფურისულა (*Primula vulgaris*)




გლობულარია (*Globularia trichosanta*)



სამკურნალო საღებო (*Salvia officinalis*), კოკრინანობის ფაზა



საშონა (*Saponaria officinalis*)



ველის იორღასალამი (*Paeonia tenuifolia*)



კავკასიური ხარისშირა (*Helleborus caucasicus*)



ფართოფოთლოვანი ლავანდი (*Lavandula latifolia*)



დიდფოთიანი ლაშქარა (*Symphytum grandiflorum*)



საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

როზა ბიძინაშვილი

თბილისის ბოტანიკური ბაღის სამკურნალო  
მცენარეების სამეცნიერო განყოფილება

100

თბილისი, 2016

**National Botanical Garden of Georgia**

**Roza Bidzinashvili**

**Scientific Department of Medicinal Plants of**

**Tbilisi Botanical Garden**

**100**

**Tbilisi, 2016**